# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 17 სექტემბერი, 2010 წელი.

№174 (6540)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## საქართველოში პოლიტიკური პროცესი მოკვდა

### ქვეყანაში სისტემური კრიზისია

გვეშველება?
დიახაც, გვეშველება!
მთავარია, დავიბრუნოთ ღირსება!
ჩვენ რეალისტები ვართ და არა უტოპისტები.
დუმილი დღეს ღირსების დაკარგვის ტოლფასია და ვინც კარგ დროს ელოდება, ცუდს ახანგრძლივებს!

3 4

## აფხაზეთი გაეროს რეზოლუციის წინააღმდეგ

8

## ომი მეცნიერების მიხედვით

8

## ევროკავშირი ხორბლის მარაგს მიაღგა

9

### დღის ფრაზები

*ვინც ახალ საკონსტიტუციო ცვლილებებს საბოლოოდ ხელს მოაწერს, ისინი განწირულნი არიან შავ სიაში შესატანად (მინდია უგრეხელიძე).*

* * *

*მიხეილ სააკაშვილს რომ შეეძლოს, ნონა გაფრინდაშვილს მსოფლიო ჩემპიონობას ჩამოართმევდა.*

## მაცდუნებლის დანაშაული,



11

ანუ არის თუ არა ლატარია ხალხის მოტყუება?

## ჯერ პარტბილეთს აქლევენ, მერე იჭერენ

11

## სტალინს ასამართლებენ




7

## ჩემი მეგობარი მიშა!



2

## საცრით მოტანილი წყალი...



6

## კონსტიტუციის დემოკრატიულობა

5

არიქა, ქინვალი ისრხოზა!

## შეიქმნა აფხაზეთში დაბრუნების მსურველთა ფონდი

3

## თითქმის დაუჯერებელი...

**ამ სათაურის წაკითხვის შემდეგ, მკითხველთა გარკვეულ ნაწილს ახლახანს გაპოპულარულებული, ვოკალურ–ინსტრუმენტული ანსამბლის, ანუ როგორც ახლა ამბობენ, ჯგუფ „მგზავრების“ ერთ–ერთი ჰიტის მისამღერი: – „მე მოვიგონე ქუჩა, მე მოვიგონე სახლი. მე მოვინდომე წვიმა და გავიჩინე დარდი. მე მოვიგონე სევდა, ჩემი მეგობარი სევდა“ გაახსენდება. შედარებით უფრო ასაკიან მკითხველს კი რეზო ჭეიშვილის შესანიშნავი ნაწარმოები „ჩემი მეგობარი ნოდარი“ (ზოგს, შეიძლება გიული ჩოხელის სიმღერა – „მზე ჩემი კარგი მეგობარიაც“ გაახსენდესძ.**




რადგანაც ჯგუფი „მგზავრები“ „პროფილს“ და პოლიციას უმღერიან, ხოლო გიული ჩოხელი აღარავის ახსოვს, ამიტომ ისევ რეზო ჭეიშვილის ნაწარმოების გმირს ნოდარის დავუბრუნდეთ და ვინც არ იცის, იმას გავახსენოთ, რომ ეს ის ნოდარია, რომელიც ხან ცეკვავს და ხან ფეხბურთს თამაშობს. ხან ტყიბულის მატარებელს დაჰყვება ალმადალმა და ხანაც ტიტე ვაჩაძის ულამაზესი ქალიშვილი ია უყვარს.

ჰო, ასეთი არეული კაცია ნოდარი და რა გინდა რომ ქნა?

არადა, გულზე ხელი დაიდეთ და თქვით: ხომ ყველას გვყავს თითო-ოროლა ასეთი „არეული“ მეგობარი? (პრინციპში, რაღა დაგიმალოთ და, ჩემი მეგობრების აზრით, ხანდახან მეც ასეთი ვარძ.

ჰოდა, გადაცემა „ნანუკას შოუს“ სეზონის დახურვას რომ ვუყურე (განმეორებითძ, აღმოვაჩინე, რომ კიდევ ერთი ჩემი ჭკუის მეგობარი მყოლია.

მიშა ჩემი მეგობარია!

არა, პირადად ნამდვილად არ ვიცნობ. მხოლოდ ერთხელ მყავს ახლოდან ნანახი პარლამენტში. კიბეებზე ადიოდა და მაშინდელ განათლების მინისტრს ალეკო კარტოზიას უთხრა, გუშინ დამესიზმრეო. სრულიად შემთხვევით, მეც იმ კიბეებზე ავდიოდი და ამ ფრაზას ყური მოვკარი. თავი ვერ შევიკავე და ვუთხარი, რომ ნოდარ დუმბაძის ერთ–ერთ გმირს, სკოლის დირექტორი დაესიზმრა და ომი დაიწყო; თქვენ კიდევ განათლების მინისტრი დაგსიზმრებიათ და რაიმე ფარსაგი საქმე არ დაგვემართოსო. ეჰ, ისე კარგად აგიხდათ ყველაფერი, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

ჰო, ისევ იმას დავუბრუნდები, რომ პირადად ნამდვილად არ ვიცნობ, მაგრამ თამამად ვაცხადებ, რომ მიშა, ანუ საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი და სავარაუდოდ მომავალი პრემიერ-მინისტრი, ჩემი მეგობარია!

რა, თქვენ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, თქვენს მეგობრებად არ თვლიდით დარტანიანს და პიტერ პენს? რა თავფარავნელი ჭაბუკი და მორის მუსტანგერი არ იყვნენ თქვენი მეგობრები? რა, მინდიასთვის ან ყოჩალი ჯარისკაცი შვეიკისთვის ძმობა არ შეგიფიცავთ?

ჰოდა, მეც ასე ვარ!

ვამბობ, რომ მიშა არამც თუ ჩემი მეგობარია, თანამოაზრეცაა (არა, კი არ „ვბლატაობ“, მაგრამ მაინც).

რატომ?

ახლავე მოგახსენებთ.

ჯერ ერთი იმიტომ, რომ მე და მიშას ერთნაირი შეხედულებები გვაქვს დღევანდელ ოპოზიციაზე.

ასევე ერთნაირად ვფიქრობთ ქვეყნის მომავალზე და ერთნაირი გემოვნება გვაქვს ზოგიერთ ისეთ წვრილმან საკითხზე, რაც გაზეთში დასაწერი კი არა, საერთოდ არავისი საქმე არ არის (არა, ჩუსტებზე და ხალათზე არ ვამბობ, რადგანაც მე ჩუსტები მაქვს. ხალათი არა. მქონდა და რუსეთში დამრჩაძ.

უფრო რომ დავაკონკრეტო ჩემი და მიშას თანამოაზრეობა, გეტყვით, რომ მეც ვემხრობი ხელისუფლების წევრებისთვის „ქამრების შემოჭერის“ პოლიტიკას (რა მაგის პასუხია და როცა ჩემი თანამოაზრე ანაკლიაში გამოსვლის დროს ამ საკითხს შეეხო, ტელეოპერატორმა რატომღაც „ლიბერთი ბანკად“ სახელგადარქმეული „სახალხო ბანკის“ ყოფილი ხელმძღვანელი, დეპუტატის მწირ ხელფასზე დარჩენილი გიორგი გოგუაძე და გაკოტრებული და აწ გაყიდული „ცენტრ-პოინტის“ ხელმძღვანელი, ქალბატონი რუსუდან კერვალიშვილი მოახვედრა კადრში (რას გაუგებ ამ ოპერატორებსძ.

ასევე ზუსტად ერთნაირად ვფიქრობთ საქართველოში წარმოებული პროდუქტებისთვის იმპორტირებულ საქონელთან მიმართებაში პრივილეგიების მინიჭებაზე.

ერთნაირად ვაფასებთ ევროპელი ექსპერტების მოსაზრებების, ქართულ სინამდვილესთან შეუთავსებლობას.

ერთნაირად ვამბობთ, რომ პრეზიდენტი არის საქართველოს მთელი მოსახლეობის პრეზიდენტი და არა „საძმოებისა“ და მკვეთრი „ლ“-თი მოლაპარაკე ხალხის საყვარელი არსება.

ერთნაირად ვერ ვიტანთ კორუფციას.

ერთნაირად შეგვტკივა გული იმ ხალხზე, რომლებსაც ბათუმის ბულვარში გახსნილი „ბამბა რუმიდან“ ნახევარ კილომეტრში საჭმელი ენატრება.

ერთნაირად გვესიზმრება აფხაზეთი და სამაჩაბლო.

ზუსტად ერთი და იგივე შეხედულება გვაქვს ქვეყნის ეკონომიკაზე (მინისტრის ჩათვლით. სამწუხაროდ არც იმ მინისტრს არ ვიცნობძ.

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო და მიშას მიერ „ნანუკას შოუში“ ნათქვამი ფრაზა რომ დავიმოწმო, თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ – მიშა ჩემი მეგობარია!

კი, მიშა ჩემი მეგობარია, მაგრამ არსებობს ეს წყეული „მაგრამ“.

ანუ არსებობენ ე.წ. „ჩერეზ ძმაკაცები“ (მაპატიეთ ამ ჟარგონისთვისძ. ის „ჩერეზ ძმაკაცები“, რომლებიც ვერასდროს ვერ გახდებიან ჩემი მეგობრები.

ჩამოგითვალოთ?

კი ბატონო.

არა, კონკრეტული გვარების ჩამოთვლით თავს არ შეგაწყენთ და მარტივად ვიტყვი, რომ „თავისუფლების ინსტიტუტის“ მიერ გამოჩეკილი მთელი „საჩერეზძმაკაცო“, რომლებიდანაც ზოგი პარლამენტის წევრია, ზოგი მინისტრი, ზოგიც მინისტრის მოადგილე. მთელი ის მკვლელი და კორუმპირებული „ბრიგადა“, რომლებიც ჩემი მეგობრის ნათქვამს ერთი ყურიდან მეორეში უშვებს, ძალიან მიშლის ხელს იმაში, რომ მისი ვირწმუნო.

მარტო მე კი არ მიშლის ხელს. მთელს საქართველოს უშლის (მარტო ხელს კი არა, ნერვებს, ცხოვრებას დ.ა.შძ.

დიახ, მთელ საქართველოს, რადგანაც არის ასეთი ქართული ანდაზა: ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო.

არის კიდევ ერთი ეგვიპტური ანდაზაც: თუ ნიანგმა შენი მტერი შეჭამა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნიანგი შენი მეგობარიაო.

რატომ გამახსენდა ეს ანდაზა არ ვიცი. ისე ამ ანდაზასთან მიმართებაში რატომღაც ზოგიერთი გაოპოზიციონერებული ყოფილი მაღალჩინოსანი და ზოგიერთი ერთკაციანი პარტიის თავმჯდომარეც გამახსენდა, მაგრამ რადგანაც ჩემი და მიშას აზრები ერთმანეთს ემთხვევა, ვინმემ შეიძლება მითხრას, რომ ორივე დამთხვეულები ხართო.

მართალი იქნება?

აბა მე რა ვიცი? ვიცი? არ ვიცი!

ისე, „მგზავრების“ არ იყოს, ჩვენი მოგონილი არ არის ის „სევდა“, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება ჰქვია?

არა, მიშა მართლა ჩემი მეგობარია!

**გია გაბრიჭიძე**

## ინფორმაცია

### რუსეთის ქმედებას სამარცხვინოდ აფასებენ

**ამერიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი რუსეთის ქმედებებს სამარცხვინოდ აფასებს.**

**ამის შესახებ მაკკეინმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან დავით ბაქრაძესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.**

– ჩვენ ვისაუბრეთ იმაზე, რომ რუსეთი სარკოზი-მედვედევის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას არღვევს. ამიტომ ამერიკის მთავრობამ რუსეთზე ზეწოლა უნდა გააგრძელოს მაგალითად ეკონომიკური კუთხით, რომ ეს შეთანხმება შესრულდეს, – განაცხადა სენატორმა.

მისივე შეფასებით, სამარცხვინოა, რომ რუსეთი საქართველოს ოკუპაციას აგრძელებს და მან ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა.

ამასთან, აშშ-ს წარმომადგენლობითი პალატის სპიკერი ნენსი პელოსის შეფასებით, საპარლამენტო დონეზე შეხვედრები აუცილებელია, რათა საქართველოში არსებული ვითარების შესახებ მათ ინფორმაცია ჰქონდეთ.

– საქართველოში არსებული სიტუაცია ჩვენთვის შეშფოთების საგნად რჩება და მიგვაჩნია, რომ თქვენს ქვეყანას აქვს უფლება თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება ყოველგვარი ზეწოლის გარეშე, – აღნიშნა მან.

### დაკავებულია ჯანდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე

**კონტროლის პალატის მასალების საფუძველზე გენერალურმა პროკურატურამ ჯანდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე ნიკოლოზ (კოკაძ ფრუიძე დააკავა. „ჯი-ეიჩ-ენის„ ინფორმაციით შესაძლოა სისხლის სამართლის დევნა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორზე პაატა იმნაძეზეც დაიწყოს.**

შეგახსენებთ, რომ კონტროლის პალატამ იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის აუდიტის შედეგად დარღვევები აღმოაჩინა. კონტროლის პალატის დასკვნის მიხედვით, ვაქცინაციის პროგრამის აუდიტით გამოვლინდა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დარღვევები, რამაც გამოააშკარავა ჯანდაცვის სფეროში მომეტებული კორუფციული რისკები.

აღსანიშნავია, რომ კორუფციული სქემა ამოქმედდა პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ ერთადერთ ტენდერში: სახელმწიფო მოხელეებმა ვაქცინების შესაძენად გამოყოფილი თანხა-ბიუჯეტი მოარგეს მიმწოდებელი კომპანიის ამონაგებს. შესყიდვა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე დაიგეგმა.

კონტროლის პალატის მასალებით, ჯანდაცვის სამინისტროს სისტემის თანამშრომლებმა სახელმწიფო ბიუჯეტს 1788,9 ათასი ლარი ზარალი მიაყენეს.

### დაკავებულია კორუფციასთან ბრძოლის კავშირის ხელმძღვანელი

**სამართალდამცავებმა თაღლითობის ბრალდებით კახეთში დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია „კორუფციასთან, კონტრაბანდასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის კავშირის“ ხელმძღვანელი ბორის მამისაშვილი დააკავეს. პროკურატურა მამისაშვილს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ადანაშაულებს. მამისაშვილს სხვისი კუთვნილი სახლის უკანონოდ გასხვისებას ედავებიან. დაკავებული ციხეშია გადაყვანილი.**

კორუფციასთან, კონტრაბანდასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის კავშირი გურჯაანის რაიონული სასამართლოს მიერ 2005 წელს არის რეგისტრირებული. როგორც ამ ორგანიზაციის ყოფილმა წევრებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში აღნიშნეს, კავშირის წევრობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემის სანაცვლოდ, მამისაშვილმა მათ 100-100 ლარი გამოართვა. მათივე თქმით, მათ ევალებოდათ სამუშაო მაღაზიების, ბაზრობების და სხვა საწარმოების „შემოწმება“, რის შემდეგაც დაწესებულების მფლობელები მამისაშვილთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ და შემოწირულობის სახით ორგანიზაციას გარკვეულ თანხას უხდიდნენ.

ბორის მამისაშვილს სხვადასხვა დროს კუდ-თან, სოდ-თან და ფინანსურ პოლიციასთან თანამშრომლობაში ადანაშაულებდნენ. მას უკავშირებენ იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ლაგოდეხის სამსახურის უფროსის გიული ლომიძის დაკავებას. ლომიძეს ბრალი საბუთების გაყალბებასა და ქრთამის აღებაში ედება. ასევე, ბორის მამისაშვილს უკავშირებენ, შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს თანამშრომლების მიერ ქრთამის აღების ბრალდებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსის გიორგი გოდერძიშვილის დაკავებასაც. გამოძიების ინფორმაციით, გოდერძიშვილმა წვევამდელებისათვის სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების სანაცვლოდ, ქრთამის სახით 2 000 ლარი აიღო.

მამისაშვილის დაკავებასთან დაკავშირებით მისი ოჯახის წევრები კომენტარს არ აკეთებენ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი გოგინაშვილმა ბორის მამისაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## წკეპლიკა

# მარტივი არითმეტიკა



**პურის ყიდვისას შოთის წონამ დამაინტერესა და გამყიდველს აწონვა ვთხოვე. 385 გრამი აღმოჩნდა, 70 თეთრი რომ ღირს. წონა 400 გრამამდე დავამრგვალოთ და 1 კილოგრამის ფასი ისე „ვიანგარიშოთ“ – 1 ლარი და 75 თეთრი გამოვა (რა დიდი დათვლა ამას უნდა...ძ.**

**მეორედ მეორენაირი პური, 65 თეთრიანი, ავაწონინე – 400 გრამი იყო. აქ 1 კილოგრამის ფასი 1 ლარი და 62 თეთრი გამოგვივა.**

ღმერთო, გამახსენე, რა ღირდა კილოგრამი პური ავადსახსენებელ საბჭოურ ხანაში – 20 კაპიკი? 25? 30?

... საბაზრო ეკონომიკას ადვილად იტყვის ენაო, ფასები სიჩქარეს იკრებს, შესაბამისად წყენაო...

**ლუკა გორგაძე**

◎ სახალხო დიპლომატია

# შეიქმნა აფხაზეთში დაბრუნების მსურველთა ფონდი

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველს, დევნილთა მრავალათასიან არმიას უნდა ვაუწყოთ, რომ თბილისში შეიქმნა აფხაზეთში დაბრუნების მსურველთა ფონდი.**

ფონდის დამფუძნებლები არიან **ოლეგ ჯოლია, იასონ ფავლენიშვილი, ჯუმბერ ხუბუტია** და **მერაბ მაღლაკელიძე.**

ფონდის მთავარი ამოცანაა ხელი შეუწყოს სახალხო დიპლომატიის განვითარებას, აფხაზებსა და ქართველებს შორის ნდობის აღდგენას და დევნილთა მშობლიურ მიწა-წყალზე დაბრუნებას.



დაბრუნების მსურველთა ფონდის გაძლიერების მიზნით უკვე დამყარდა კავშირი მსოფლიოს ქვეყნებში არსებულ ქართულ სათვისტომოებთან. დაგეგმილია სერიოზული ღონისძიებები, რომლებიც ფონდს საშუალებას მისცემს, პრაქტიკულად დაეხმაროს დევნილთა ნაწილს. საჭიროებისდა მიხედვით, დახმარება გაეწევა აგრეთვე აფხაზ მოქალაქეებს, რომლებიც საჭიროებენ გადაუდებელ ეკონომიკურ და სამედიცინო დახმარებას, თბილისში სწავლის გაგრძელების მსურველებს და სხვა.

ფონდთან არსებული უხუცესთა საბჭო ახლო მომავალში გეგმავს აფხაზ უხუცესებთან შეხვედრას, რომლებსაც დიდი გავლენა აქვთ მოძმე აფხაზეთში ამა თუ იმ საკვანძო, პოლიტიკურ-სოციალური საკითხების გადაწყვეტისას. აფხაზეთის უხუცესთა საბჭო ხალხში და მთავრობაში გამორჩეული ავტორიტეტით სარგებლობს. უხუცესთა შეხვედრები გაიმართება როგორც სოხუმში, ისე თბილისში.

უხუცესთა საუბრის მთავარი თემა, რასაკვირველია, ორივე მხარეს შორის ნდობის აღდგენა იქნება.

აფხაზეთში დაბრუნების მსურველთა ფონდის ხელმძღვანელობამ, უხუცესთა საბჭოსთან ერთად, ერთ-ერთ მთავარ მიზნად დაისახა მდ. ენგურის ორსავე მხარეს, ძმათამკვლელ ომში დაღუპულ ქართველთა და აფხაზთა, აგრეთვე, სხვა ეროვნების მებრძოლთა ხსოვნის მემორიალის დადგმა პირობითი წარწერით: **„მოტყუებული ძმები სამშობლოსთვის იბრძოდნენ“.**

ფონდის ეს იდეა დღეს პრეზიდენტის კანცელარიაში დევს და ქვეყნის ხელისუფლებისგან თანხმობას ელოდება. წინადადება განხილვის სტადიაშია რეინტეგრაციის სამინისტროში, აფხაზეთის მთავრობასა და სხვა უწყებებში. ფონდის მუშაობა გამჭვირვალე იქნება და პერიოდულად პრესის საშუალებით ყველა საჭირო ინფორმაცია გამოქვეყნდება.

აფხაზეთში დაბრუნების მსურველთა ფონდთან არსებულ ქართველ უხუცესთა საბჭოში გაერთიანებული არიან ისეთი საზოგადო მოღვაწენი, რომელთა უმრავლესობას კარგად იცნობს აფხაზი ხალხი და მათი უხუცესთა საბჭო. ამ პიროვნებებს არ გაუჭირდებათ აფხაზ უხუცესებთან შეხვედრა და სერიოზული, კეთილშობილური, ორივე მხარისთვის სასარგებლო საქმის კეთება.

ესენი არიან:

**გურამ გვეტაძე,** – საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, გენერალ-ლეიტენანტი, საქართველოს ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

**ნაპო მესხია,** – ცნობილი ქირურგი, პროფესორი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი – დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა აფხაზეთში – მასთან სოხუმიდან ახლაც ხშირად ჩამოჰყავთ ავადმყოფები (აფხაზებიც) და მხოლოდ მისი კვალიფიციური დახმარებისა სჯერათ;

**ნოდარ ემუხვარი,** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, კარდიოლოგი, აფხაზი წარმოშობის დიდებული ქართველი.

**ოთარ ვახანია,** – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აკადემიური საბჭოს წევრი, დიდი ავტორიტეტით სარგებლობს აფხაზეთში.

**მირიან ჯალაღონია,** – აფხაზეთის ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, მწერალი;

**კოტე მარშავა,** – აფხაზეთის „საქენერგოს“ ყოფილი მმართველი, მარშანიების საგვარეულოს ღირსეული წარმომადგენელი.

**ტერენტი ხუბუა,** – აფხაზეთის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე;

**კოტე გულუა,** – სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი, საქართველოს ვეტერანთა ჰოსპიტალის მთავარი ექიმის ყოფილი მოადგილე;

**კოლია შენგელია,** – უმაღლესი კატეგორიის ექიმი, აფხაზეთის ჯანდაცვის მინისტრის მრჩეველი.

**შერმადინ ბაძაღუა,** – მშენებელი ინჟინერი, დიდი ქველმოქმედი, ცხოვრობს და მოღვაწეობს პეტერბურგში;

**ლორენცო შარანგია,** – ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი. მოსკოვის ქართული დიასპორის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

**მამანტი ჯოლია**, – გადამდგარი პოლკოვნიკი, აფხაზეთის ვეტერანთა სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე – აფხაზეთის ვეტერანთა კავშირის საპატიო თავმჯდომარე.

ფონდის ოფისი მდებარეობს თბილისში, ბაქოს ქ. № 1ა. III სართული. ტელ: 47-98-51.

* * *

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელად მიესალმება აფხაზეთში დაბრუნების მსურველთა ფონდს და ქართველ უხუცესთა საბჭოს. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ აფხაზთა და ქართველთა შერიგების, ურთიერთნდობის აღდგენის რთულ გზაზე!**

◎ ხალხი და ხელისუფლება

***„თეთრები“ ყველა პოლიტიკურ ძალას, საქართველოს ყველა მოქალაქეს, მცხოვრებს უცხოეთში თუ საქართველოში, საქართველოს მეგობრებს სთავაზობენ დისკუსიას:***

***სად არის ქვეყნის ხსნა?***

**„თეთრებს“ ზოგადად მიაჩნიათ, რომ ხსნა დემოკრატიაშია, მაგრამ მაინც ვიკამათოთ კონკრეტულად და დეტალურად, ამისთვის ინტერნეტ-ტელევიზია „თეთრების“ კარი ყველასთვის ღიაა.**

***„თეთრები“ იწყებენ და ხალხი იმარჯვებს!***

ამ ოპტიმისტური განწყობით გამოაცხადეს „თეთრებმა“ დიდი დისკუსია პირველ სექტემბერს, რომელიც ინტერნეტ-ტელევიზია „თეთრების“ (www.tetrebi.orgძ, პორდაპირ ეთერში იყო ტრანსლირებული.

„თეთრებს“ მიაჩნიათ, რომ საქართველოში ყველა პარტია სახელისუფლებოს ჩათვლით, ქვეყნის ხსნისა და გადარჩენის თავის რეცეპტს იგონებს. ჩვენ თავისუფალი მსოფლიოს კლასიკური გამოცდილებით მივდივართ – ხსნა დემოკრატიაშია. ვიკამათოთ ხალხთან ერთად, შევთანხმდეთ და ვიმოქმედოთ გაბედულად. ოპოზიციის დანაწევრება ხელისუფლების საქმეს აკეთებს და ქვეყანას კი ანგრევს.

მაპურის შოვნა მხოლოდ ღირსების დაკარგვით შეიძლება.

მაშინ, როცა XXI საუკუნის მსოფლიომ (ახლო აღმოსავლეთში შექმნილმა მდგომარეობამ, ისრაელის სახელმწიფოსთან დაკავშირებულმა მოვლენებმა, ერაყში, ავღანეთში, ირანში, პალესტინაში, დღეს უკვე თურქეთში მიმდინარე პროცესებმაც, ნავთობსადენებმა, გაზსადენებმა, საერთოდ, მსოფლიო ენერგეტიკულმა პრობლემებმა, მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, აბრეშუმის გზამ, ჩინეთის როლის გაძლიერებამ მსოფლიო მოვლენებზე, განსაკუთრებით, ეკონომიკურზეძ საქართველოს არნახული შანსი მისცა, გააკეთოს დიდი პროგრესული ნახტომი – უბადრუკი ხელისუფლების გამო არათუ მისი რეალიზაცია ვერ ხერხდება, ქვეყანას დაჩოქება უპირებენ...

მდგომარეობის ტრაგიკულობას ყველაფერი ადასტურებს. **ადასტურებს ის,** რომ არც ფულიან და არც უფულო იჯახში ბედნიერება აღარ არის. **ადასტურებს ის,** რომ კვდება ოჯახის, ნათესავის, მეზობლის, მეგობრის, ნათელმირონის ტრადიცია. ფულმა და უფულობამ ერთმანეთს სამკვდრო- სასიცოცხლოდ გადაკიდა ადამიანები. მდგომარეობის კატასტროფულობას ადასტურებს:

# საქართველოში პოლიტიკური პროცესი მოკვდა

## ქვეყანაში სისტემური კრიზისია

„დღემდე ასე იყო, პარტიები იბრძოდნენ არა ხალხის, არამედ პარტიის გამარჯვებისთვის და ყოველი პარტია გამარჯვების დღესვე მარცხდებოდა და ყველაფერ ამას ხალხისთვის მხოლოდ ტანჯვა-წამება მოჰქონდა. ბედნიერი იქნება საქართველო, თუ პარტიების ბრძოლის დაწყებას და ბრძოლას უპირველესად ხალხის გამარჯვება მოჰყვება. ჩვენ ასეთი პარტია გვინდა ვიყოთ და ვიქნებით კიდეც. თუ ხალხი გაიზიარებს ჩვენს პრინციპებს, ხალხივე საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნდება“, – ამბობს „თეთრების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი თემურ შაშიაშვილი.

***• მდგომარეობა ქვეყანაში...***

ტოტალური სახელმწიფო კრიზისი ფაქტია. ქვეყანაში პოლიტიკური პროცესი მოკვდა. მთელი სახელისუფლებო ვერტიკალი პრეზიდენტით დაწყებული და სოფლის გამგებლით დამთავრებული ტოტალური ტყუილით ცხოვრობს. პრეზიდენტმა, აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო სისტემის მთელმა შემადგენლობამ, საკუთარი ტყუილი დაიჯერეს. ქვეყანაში გამეფებულია ყალბი ეროვნული პათოსი, დემოკრატიის თამაში, სოციალური დემაგოგია, პოლიტიკური კორუფცია. კერპთაყვანისმცემლობა და მაამებლობა, დასმენის ინსტიტუტი ბევრისთვის არსებობისთვის პურის მოპოვების საშუალებად იქცა. როგორც დრო ადასტურებს, უმეტესობისთვის ეროვნულობა ცხოვრების კარგად მოწყობა, კაბინეტი, თანამდებობა, პირადული კეთილდღეობა ყოფილა და არა ქართული ცნობიერება, ქართული სული, ქვეყნის დამოუკიდებლობა.

ქვეყნის ხელისუფლება ქვეყნის გარედან იმართება... ხელისუფალთათვის მთავარია ამომრჩეველი და არა ადამიანი. ქვეყნის დამშევითა და დაუძლურებით ხალხი ადვილად მართვადი გახდა. მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის უპირველესად იქცა ბრძოლა არსებობისთვის და არა ძლიერი სახელმწიფოსთვის. თავისუფალი და ძლიერი სახელმწიფოს ნაცვლად მივიღეთ „ფულისუფლების“ ქვეყანა...

საქართველოს ძლიერების ღერძი ისტორიულად და ტრადიციულად ღირსება იყო: ღირსება პიროვნული... ოჯახის ღირსება... ღირსება ეროვნული...სახელმწიფოს ღირსება... ქართული ღირსება.

სწორედ ეს ბოძი შეარყიეს. ერთის მხრივ, ძალაუფლებისთვის და, მეორეს მხრივ, არსებობისთვის ბრძოლამ ღირსება წაართვა ადამიანებს.

ღირსება არ გააჩნია ფულიანს. „მოქკავშირნაცმოძრაობა-აღორძინების“ ლიდერებმა ისე მოაწყვეს ადამიანთა ცხოვრება, რომ ლუკ-

● ვალუტის გადამცვლელი პუნქტების წარმოუდგენლად დიდი რაოდენობა, ანუ **ნიშანი იმისა,** რომ ქვეყნის გარედან შემოსული ფულით ვცხოვრობთ (ნებისმიერ განვითარებულ და განვითარებად ქვეყანაში ვალუტის გადამცვლელი პუნტები უცხოელებისთვის იხსნება. საქართველოში ეს პუნქტები ძირითადად საქართველოს მოქალაქეებს ემსახურება – საქართველოდან უცხოეთში სამუშაოდ წასულთა მიერ გადმორიცხული ფულის გადასახურდავებლადძ;

● ლომბარდების წარმოუდგენლად დიდი რაოდენობა, – **ნიშანი იმისა,** რომ სახლიდან გატანილი ნივთების დაგირავებით, ან მისი დაკარგვით ვცხოვრობთ (დიდი სიმდიდრე ქვეყნის გარეთ გადისძ;

● აფთიაქების წარმოუდგენლად დიდი რაოდენობა – **ნიშანი იმისა,** რომ ჯანმრთელთა რაოდენობა კატასტროფულად მცირდება, ავადმყოფობა სახელისუფლებო ბიზნესად იქცა (წამლის ფასი 4-5-ჯერ მეტია, ვიდრე შეიძლება იყოსძ;

● ბაზრებისა და ბაზრობების რაოდენობა – **ნიშანი იმისა,** რომ ქვეყანა სხვა ქვეყნის პროდუქციის სავაჭრო მოედნად იქცა;

● ქუჩაში ხელგაწვდილი ადამიანების კატასტროფული ზრდა – **ნიშანი იმისა,** რომ გაჭირვება პიკზეა;

● ნარკომანების და ლოთების წარმოუდგენელი ზრდა – **ნიშანი** დეპრესიისა (ნარკობიზნესს ხელისუფლების წარმომადგენლები პატრონობენძ;

● ბანკებში მიღებული სესხის სანაცვლოდ ჩადებული უძრავ-მოძრავი ქონების რაოდენობა, ბანკების მიერ წართმეული ქონების მოცულობა – **ნიშანი იმისა,** რომ საქართველოს მცხოვრებისთვის შეუძლებელია ბიზნესის კეთება;

● სარიტუალო დაწესებულებების წარმოუდგენლად დიდი რაოდენობა – **ნიშანი** სიკვდილიანობის მაღალი დონისა;

● თბილისში და საერთოდ დიდი ქალაქების ცენტრების გადაქცევა იაფფასიან სასადილო ადგილებად – **ნიშანი იმისა,** რომ ქართული სამზარეულო კვდება, და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა თავისი ჯანმრთელობის საწინააღმდეგოდ გადავიდა მსოფლიოში ერთ-ერთ უიაფეს კვებაზე;

იხ. 4 გვ.

ხალხი და ხელისუფლება

(მესამე გვერდიდან)

• ქართული პროდუქციისთვის დაკარგული ქართული ბაზარი – **ნიშანი იმისა,** რომ ქვეყანაში ეკონომიკა არ არსებობს, რომ ქვეყნის გარედან შემოსული საქონელი სამუშაო ადგილებს უცხოეთში ქმნის, საქართველოში კი უმუშევრობას, დეპრესიას და ავადმყოფობას აძლიერებს;

• სახელმწიფო საგარეო ვალების კატასტროფული ზრდა – **ნიშანი იმისა,** რომ ქვეყანაში რაც კეთდება ხელშესახები (გზები, ხიდები, მშენებლობები) კეთდება სესხებით, რომელიც ჩვენი შვილების და შვილიშვილების ბეჭებს დააწვება;

• ბიუჯეტის ანალიზი – **ნიშანი იმისა,** რომ იგი არა ეკონომიკით, არამედ მოსახლეობის ჯიბიდან ამოღებული ფულით ივსება (დიდია ჯარიმების წილი);

• პრივატიზაციის ანალიზი – **ნიშანი იმისა,** რომ „მოქკავშირ-ნაცმოძრაობამ" გაყიდა ყველაფერი: მიწაც, მიწაში და მიწის ზემოთ არსებულიც და მეპატრონე უცხოელები, მათ უკან მდგომი სახელისუფლებო კლანი დგას;

• ქვეყანაში არაქართული წარწერების (ნებისმიერი სახელმწიფოსთვის მიუღებელი და შეურაცხმყოფელი) რაოდენობა – **ნიშანი იმისა,** რომ ხელისუფლებისთვის ქართული და ქართული ენა არ არის მთავარი;

• ერთიანი ეროვნული გამოცდების ანალიზი – **ნიშანი იმისა,** რომ განათლების მთელი სისტემა მოიშალა, დაინგრა, ხელისუფლებისთვის განათლება აღარ არის პრიორიტეტული;

• პარლამენტის შემადგენლობის ანალიზი – **ნიშანი იმისა,** რომ მან დაკარგა პოლიტიკური ფუნქცია, იქცა ბიზნეს-კლუბად;

• დაჭერების ანალიზი, პატიმართა რაოდენობის ნებისმიერი სახელმწიფოსთვის შეურაცხმყოფელი რაოდენობა, ძალისმიერ ქმედებათა წარმოუდგენელი ზრდა ხელისუფლების მხრივ – **ნიშანი იმისა,** რომ ხელისუფლება ქმნის პოლიციურ სახელმწიფოს, ქვეყანაში პოლიტიკური ფუნქცია აქვს პოლიციას, უშიშროებას, პროკურატურას, სასამართლოს, საგადასახადოს, ჯარის სარდლობას;

• სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული ხელფასების ანალიზი – **ნიშანი იმისა,** რომ ხელისუფლება პრაქტიკულად ყიდულობს იმას, ვისაც ასაქმებს;

• პრეზიდენტის გამოსვლების ტონი, შინაარსი, აქცენტები – **ნიშანი იმისა,** რომ იგი არის არა მთელი ქვეყნის, არამედ მისი პარტიის წევრების პრეზიდენტი, რომლისთვისაც მთავარია საქართველო აქციოს მომსახურე ქვეყნად;

• სახელისუფლებო ვერტიკალის თანამდებობის პირთა ანალიზი – **ნიშანი იმისა,** რომ ხელისუფლება ხელისუფალისადმი მონობაა, აზროვნება არ არის საჭირო, რომ გარედან მმართველმა მიაღწია მისთვის სასურველს – ქვეყნის პრეზიდენტით დაწყებული სოფლის გამგებლით დამთავრებული, მისი იდეის მსახურია, მსახურია ანტიქართულ განწყობილებათა გაძლიერების.

• **მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი საბანკო და მობილური სატელეფონო სისტემების, სასტუმროების, სუპერმარკეტების, რესტორნების, პარფიუმერიის მაღაზიების, აფთიაქების, ბენზოგასამართი სადგურების ინტენსიური დამკვიდრება – ნიშანი იმისა, რომ დღეს საქართველოში ყველაზე უკეთესი არის ის რაც კერძოა, რასაც სახელმწიფო არ ქმნის და მომსახურების ფასები იქნებოდა 2-ჯერ ნაკლები, რომ ხელისუფლება წილში არ უჯდებოდეს კერძო სექტორს.**

ისტორიულად ნებისმიერი ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა სისხლით, ცრემლითა და ოფლით მოიპოვება. საქართველო სისხლს ვერ გაცდა, ცრემლით ვცხოვრობთ, ვერ მოვიდა ისეთი ხელისუფლება, რომელიც ძალით და სისხლით კი არ მოიპოვებს სკამს და ძალაუფლებას, არამედ საკუთარი და ქვეყნის მოსახლეობის ოფლით და ჭკუით შექმნის ძლიერ სახელმწიფოს... ვერ მოვიდა ისეთი ხელისუფლება, რომელიც არა ფულის, მუშტის, სკამის, არამედ ნიჭის ძალაუფლებას დაამკვიდრებდა.

• ***მდგომარეობა ოპოზიციაში...***

**დღეს უკვე რეალობაა ქართული ოპოზიციური სივრცის ორ ნაწილად გაყოფა.**

**ერთი** – ძალისმიერი რადიკალიზაციის გზით მიდის, **მეორე** – ინტელექტუალური რადიკალიზაციის.

„თეთრები", რომლის შემადგენლობაში, ძირითადად სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები არიან, ერთგული ვრჩებით ჩვენს მიერ არჩეულ გზას: ინტელექტუალური რადიკალიზაციის. ჩვენ ვფიქრობთ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს ხსნა დემოკრატიაშია.

**კაცობრიობის გამოცდილება ადასტურებს,** რომ ყოველგვარ რეჟიმს – ტოტალიტარულს, ავტორიტარულს, დიქტატორულს, მხოლოდ დემოკრატიის ეშინია, რომ ყოველგვარ რეჟიმს დემოკრატია ასრულებს...

**კაცობრიობის გამოცდილება ადასტურებს იმასაც, რომ** ყოველგვარ რეჟიმს, მით უფრო დიქტატორულს – ძალისმიერი ოპოზიცია და მისი ძალისმიერი რადიკალიზაცია ახანგრძლივებს...

**საქართველო დიდი ხანია ეწირება ემოციაზე და ქუჩის ძალაზე ორიენტირებულ პოლიტიკოსებს.**

**„თეთრები" თვლიან, რომ ქუჩა და ქუჩის მოქმედებებიც დემოკრატიის ნაწილია და მას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა:**

• **როცა** ქუჩაში მძიმე კონსულტაციებით შეერთებული პოლიტიკური ძალები გადიან...

• **როცა** ქვეყანაში არსებობს თავისუფალი ტელევიზია, თავისუფალი პრესა, თავისუფალი – მიუკერძოებელი ექსპერტი...

• **როცა** ხალხი გრძნობს, აცნობიერებს და დარწმუნებულია, რომ ბრძოლა ხელისუფლების შენარჩუნების ან მისი მოპოვებისთვის კი არა, არამედ ქვეყნის და ხალხის გადარჩენისათვის მიდის.

**საქართველოში არც ერთია, არც მეორე, და არც მესამე. პოლიტიკაში ჭარბობს ემოცია და პრაქტიკულად უარყოფილია გონება... პოლიტიკოსთა მთავარი მიზანი ძალაუფლება და ფულია.**

**სამწუხაროდ, პოლიტიკოსებს ძალაუფლებისა და სკამისთვის ბრძოლაში აერთიანებს და შლის ფული და სიძულვილი... დიდი ფული აერთიანებს და მასზე დიდი ფული შლის... დიდი ფული აქვს ბევრს ოპოზიციაში და მასზე დიდი ფული აქვს ხელისუფლებას... დიდი ფულით შექმნილ ე.წ. პოლიტიკურ გაერთიანებების შლის მასზე დიდი პოლიტიკური ფულის მქონე ხელისუფლება...**

**ხელისუფლებას კრავს, აერთიანებს და მონოლითურს ხდის სიძულვილი ოპოზიციის მიმართ და ოპოზიციას კრავს და აერთიანებს სიძულვილი ხელისუფლების მიმართ. ხელისუფალთ ხელისუფლების დაკარგვის შიში მონოლითურს ხდის და ხელისუფლების დიდ ფულს ოპოზიცია მონოლითურობამდე ვერ მიყავს... ფული სიძულვილსაც ერევა და არაერთ ოპოზიციონერს და ოპოზიციურ ძალას ხელისუფლების პარტნიორად აქცევს.**

**ფული კი არ არის ცუდი, არამედ ხელისუფლების პოლიტიკა, რომელიც ფულს თავისუფლებას ართმევს, ფულის ნაკადებს პარტიულ კონტროლს უქვემდებარებს - პარტიისათვის სასარგებლოს ხდის, საფინანსო სისტემას პოლიტიზებას უკეთებს. დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ ფული, რომელიც პოლიტიკურ კონტროლს ექვემდებარება, სახელმწიფოს ავნებს.**

**ვერანაირი სკამი, ფული და სიძულვილი ვერ შლის და ვერც მომავალში დაშლის ხალხის სიყვარულით შეერთებულ ზნეობრივ პოლიტიკოსებს. დღეს საქართველოს პრობლემაც სწორედ ეს არის - ვერა და ვერ ხერხდება პატიოსანი და ზნეობრივი ადამიანების ერთ პოლიტიკურ გუნდად, ერთ პოლიტიკურ ძალად შეერთება.**

**მდგომარეობას კიდევ უფრო დრამატულს ხდის ის, რომ ქვეყანაში პრაქტიკულად არ არსებობს თავისუფალი ტელევიზია, ძალიან ცოტაა თავისუფალი და მიუკერძოებელი ექსპერტი...**

**თავისთავად უკვე სიმახინჯეა ოპოზიციური ტელევიზია, გაზეთი და ექსპერტი, მით უფრო დიდი სიმახინჯეა სახელისუფლებო ტელევიზია, გაზეთი და ექსპერტი..., ტელევიზიაც, გაზეთიც, ექსპერტიც უნდა იყოს თავისუფალი და მართალი... კუთვნილება კი არაა დანაშაული, არამედ მოქმედება...**

მსოფლიოში ცნობილი **ბრიტანული BBC** სახელმწიფოსგან ფინანსდება, მაგრამ ის **მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე თავისუფალი ტელევიზიაა,** რადგან მისმა პატრონებმა იციან, რომ სახელმწიფო ხალხია და არა მთავრობა... რომ ბიუჯეტი ხალხისაგან ივსება და ხალხისთვის უნდა იხარჯებოდეს, რომ მთავრობა ხალხის მიერ დაქირავებული ადამიანთა გუნდია და მას უნდა ემსახუროს... (რა შორს ვართ ჩვენ და განსაკუთრებით პრეზიდენტი და მისი ჯიბის ტელევიზიები ამ განწყობისგან...).

**მსოფლიოში ცნობილი კერძო ტელევიზიები მოკვდებიან, როგორც კი მეპატრონეების ინტერესების გამოხატვას დაიწყებენ** (რა შორს არიან ჩვენში ასეთი განწყობისაგან არა ერთი კერძო ტელევიზია და მედიის საშუალებაა).

• ***„თეთრების" ინიციატივა***

**პოლიტიკოსების ავტორიტეტი ხალხში განულებულია. გასულ წელს, 9 აპრილს დაწყებულმა აქციებმა ოპოზიცია პრაქტიკულად გაანადგურა, ხალხში შიში და უიმედობა გააძლიერა. ქვეყანაში დეპრესიაა. ხალხმა იცის, რომ ეს მთავრობა უვარგისია, მაგრამ ასეთივედ თვლის ოპოზიციასაც. პირდაპირ ვთქვათ: ხალხი მთავრობასაც და ოპოზიციასაც დამსახურებულად აფასებს. ნამდვილი ოპოზიციისაგან საჭიროა რაღაც განსაკუთრებული, რომელიც ამ განწყობას შეცვლის, გაამძაფრებს ბრძოლას ხელისუფლების წინააღმდეგ, დაასრულებს სააკაშვილსაც და მის რეჟიმსაც.**

***„თეთრებს" ასეთად მიგვაჩნია გამოკვეთილი ოპოზიციონერი პოლიტიკოსებისაგან სახელისუფლებო ამბიციების მოთოკვა და ბრძოლა სააკაშვილისა და მისი რეჟიმის წინააღმდეგ ეროვნული თანხმობის ხელისუფლების იდეით.***

***საკმარისია, ჩვენ, იმ პოლიტიკოსებმა, რომლებიც ხალხის თვალში აღვიქმებით ოპოზიციონერებად (ალბათ, სულ 30-მდე პოლიტიკოსი), ხელი მოვაწეროთ თანხმობის დოკუმენტს, რომ სააკაშვილის წასვლის შემთხვევაში ჩვენ 2-3 წლით უარს ვიტყვით ხელისუფლებაში მისვლაზე და სახელმწიფო კაცებთან ერთად ვიფიქრებთ ეროვნული თანხმობის პროფესიონალთა ხელისუფლებაზე.***

***„თეთრების" პოზიციაა, ამ დოკუმენტზე ხელმოწერა მოხდეს ეროვნულ ყრილობაზე და ამავე ყრილობაზე დავიწყოთ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცესი. გაიზიარონ ეს პოზიცია პოლიტიკურმა პარტიებმა, იმ პოლიტიკოსებმა, რომლებიც ლიდერებს უწოდებენ საკუთარ თავს და მაშინ ვნახავთ, როგორი სისწრაფით წავა სააკაშვილის რეჟიმის დაშლაც, და, როგორ შეიცვლება განწყობა ოპოზიციური პარტიებისადმი, და, რაც ქვეყნისთვის მთავარია, როგორი სისწრაფით წავა ქვეყანაში სასიკეთო ცვლილებები.***

***ნუ ვწირავთ ქვეყანას სკამისათვის ბრძოლას. გვეყოს, რომ სააკაშვილმა სკამს და ძალაუფლებას შეწირა ხალხიც, ქვეყანაც, მისი ტერიტორიული მთლიანობაც.***

• **ბრძოლა თავისუფალი და მართალი საინფორმაციო სივრცისათვის...**

**ეს არის ჩვენი განწყობა და პოზიცია. სწორედ ამიტომ ვქმნით ინტერნეტ-ტელევიზიას.**

ამ წერილით ვიწყებთ დიდ კონსულტაციას ყველა დაინტერესებულ პიროვნებასთან, საზოგადო მოღვაწეებთან, პოლიტიკოსებთან, პოლიტიკურ ჯგუფებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რათა პრაქტიკული გავხადოთ ჩვენი ბრძოლა იმისათვის, რომ ქვეყნის საინფორმაციო სივრცე იყოს თავისუფალი და მართალი.

***თავისუფალი*** **- სარედაქციო საქმეში დამფინანსებლის ჩარევისაგან...**

***მართალი*** **- ჟურნალისტებისაგან და სიტყვის მთქმელთაგან...**

**ასეთი იქნება ტელევიზია „თეთრები" . დრო ამას დაადასტურებს.**

**სწორედ ჩვენ მივცემთ იმის მაგალითს, რომ ეს იყოს ხალხის აზრის ტელევიზია, თავისუფალი ჩვენი ჩარევისაგან და მართალი ყველა იმ პიროვნებისაგან, ვინც ეკრანზე გამოჩნდება.**

**ეს იქნება არა ხალხზე პოლიტიკოსების აზრის და პოლიტიკოსების მიერ ხალხის ლანძღვის ტელევიზია (როგორც ეს ძირითადში დღეს არის), არამედ პოლიტიკოსებზე, პარტიებზე ხალხის აზრის ტელევიზია. ამ ტელევიზიისთვის არ იარსებებს „თეთრების" მომხრე, ან „თეთრების" მოწინააღმდეგე. .**

**პირდაპირ და გაბედულად ვამბობთ, რომ, თუ საქართველოში ერთი ადამიანიც აღმოჩნდება, რომელიც იტყვის, რომ მას არ მისცეს ტელევიზიით გამოსვლის საშუალება, ეს ნიშნავს: ტელევიზია არ შედგა, ჩვენ სიტყვა არ შევასრულეთ, ხალხი მოვატყუეთ.**

**წინასწარ ვიტყვით მხოლოდ ერთს, რომ ტელევიზიის უპირველესი ფუნქცია იქნება საგანმანათლებლო, პოლიტიკური კი შემდგომ.**

**ჩვენ შევძლებთ, საზოგადოება დავარწმუნოთ იმაში, რომ საქართველო სავსეა განათლებული ადამიანებით და მათ გაუნათლებლებმა ფუნქცია დაუკარგეს...**

**ჩნდება კითხვა: ტელევიზია კარგია, მაგრამ საიდან ფინანსები?**

**თავშივე ვამბობთ, დრო დაადასტურებს, რომ თავისუფალ და მართალ ტელევიზიას სჭირდება გაცილებით ნაკლები ფინანსები, ვიდრე ტენდენციურ, ტყუილზე აგებულ ხელისუფლების, თუ რომელიმე ოპოზიციონერის ჯიბის ტელევიზიას. სააკაშვილი და მისი რეჟიმი ათეულობით მილიონი ბიუჯეტის ფულს (ანუ ხალხის ფულს) ხარჯავს სიცრუის პროპაგანდისთვის. ამ ხელისუფლებამ სიცრუეზე გაცვალა ჭეშმარიტება.**

**ნებისმიერი დაინტერესებული პიროვნება ჩვენთან მოსვლით დარწმუნდება, რომ ჩვენ თავისუფალი და მართალი ტელევიზიისთვის სექტემბრიდან დაგვჭირდება ერთი პატარა ოთახი და მაქსიმუმ, 2 ათასი ლარი ყოველთვიურად. წლის ბოლომდე აპარატურის შეძენისა და ფუნქციონირებისათვის - მაქსიმუმ 20 ათასი ლარი. „თეთრების" ორმოცი წევრი, წლის ბოლომდე 500 ლარის შენატანით, პრობლემას გადავწყვეტთ. მივესალმებით, თუ ვინმეს დახმარების სურვილი გაუჩნდება. აქვე ვამბობთ, რომ „თეთრებზე" რეკლამა შეუზღუდავი და უფასო იქნება.**

**ხაზგასმით ვამბობთ, თავისუფლება და სიმართლე გაცილებით იაფია, ვიდრე მონობა და ტყუილი, მაგრამ სიმართლის თქმას და თავისუფლებისთვის ბრძოლას დიდი მოქალაქეობრივი გაბედულება სჭირდება.**

**ჩვენი გზაც ეს არის. ჩვენ გვირჩევნია რამდენიმე განათლებული, მართალი, თავისუფალი და პროგრესულად მოაზროვნე გვიჭერდეს მხარს, ვიდრე ათასობით ბრმად გვიკრავდეს ტაშს. რადგან ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს, რომ:**

• **არ იქნება სამართლიანობა - არ იქნება მშვიდობა!**

• **თავისუფალი არის მხოლოდ ის ქვეყანა, სადაც თავისუფალი ადამიანები ცხოვრობენ და თავისუფალია მხოლოდ ის ადამიანი, ვინც ეკონომიურად არის თავისუფალი.**

**მართლაც უმძიმესი პრობლემების წინაშე დგას XXI საუკუნის დასაწყისის საქართველო... საქართველოს მართლაც XXI საუკუნის დიდგორი აქვს მოსაგები!**

**ჩვენ შევძლებთ, გავცეთ პასუხი კითხვაზე, რომელიც ყველა მოაზროვნე და ქვეყანაზე შეყვარებულ ადამიანს აწუხებს დღეს საქართველოში:**

• **გვეშველება?**

**დიახაც, გვეშველება!**

**მთავარია, დავიბრუნოთ ღირსება!**

**ჩვენ რეალისტები ვართ და არა უტოპისტები**

**დიახაც გვეშველება!**

**მთავარია დავიბრუნოთ ღირსება!**

**დუმილი დღეს ღირსების დაკარგვის ტოლფასია და ვინც კარგ დროს ელოდება, ცუდს ახანგრძლივებს!**

**ჩვენ მოქმედების ხალხი ვართ!**

**ასეთია ჩვენი განწყობა და პოზიცია. სწორედ ამიტომ ვიწყებთ დისკუსიას... სწორედ ამიტომ ვქმნით ინტერნეტ-ტელევიზიას და სწორედ ამიტომ ვემზადებით ყრილობისთვის, რომელიც ხალხმრავალი ზარ-ზეიმი კი არ იქნება, არამედ დაფიქრებული საუბარი საქართველოს მომავალზე.**

**თემურ შაშიაშვილი,**
ახალი პოლიტიკური ძალა „თეთრი მოძრაობა" (თეთრები).

# საქართველოში პოლიტიკური პროცესი მოკვდა

## ქვეყანაში სისტემური კრიზისია

№ 174. პარასკევი, 17 სექტემბერი, 2010 წელი.

პროექტი

# კონსტიტუციის დემოკრატიულობა

**კონსტიტუციის ქვეყნის ძირითადი კანონის მოქმედების სფერო მთელი საზოგადოებაა. იგი თანაბრად უნაწილებს უფლება-მოვალეობას მის წევრებს, — ეს საყოველთაოდ ცნობილი და გასაგებია.**

გაუგებარი ისაა, როგორ ახერხებენ ზოგიერთნი კანონზე მაღლა დგომას, ღმერთისგან თუ ეშმაკისგან? რა განსაზღვრავს კონსტიტუციის დემოკრატიულობას? რა უნდა გაკეთდეს, რომ საზოგადოებამ მართლა მისი მოთხოვნების შესატყვისი კონსტიტუცია მიიღოს?

კითხვები ბევრია.

საზოგადოება არ შეიძლება პერმანენტული საკონსტიტუციო კრიზისის პირობებში იმყოფებოდეს. განა საკმარისი არაა პერმანენტული პოლიტიკური საშინაო და საგარეო კრიზისი? ახლა მას თუ ასეთსავე სოციალ-ეკონომიკურ კრიზისს დავამატებთ...

ვთქვათ და პოლიტიკური კრიზისი მტრების მიერაა თავს მოხვეული. ვთქვათ და მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ხელისუფლების დამამშვიდებელი დასკვნების ჯიბრზე, მაინც იქონია ზეგავლენა. ვთქვათ... ბევრი რამ შეიძლება ვთქვათ, მაგრამ კონსტიტუციას რაღა დაემართა? ესეც მტრების გავლენით ხომ არ ხდება?

შეიძლება მდგომარეობის გამოსწორების, კრიზისის დაძლევის მიზნით, 2009 წ. შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია. კომისიამ ნაყოფი მოამწიფა და ახლა საჯარო განხილვისათვის ილვწის. დიახ! კონსტიტუციის პროექტი საჯარო მსჯელობის საგანია. ჩადიან მაღალჩინოსნები ცალკეულ ქალაქებში, ხვდებიან ადგილობრივ კადრებს, უხსნიან დაგეგმილ სიახლეებს და ლებულობენ საყოველთაო მოწონებას.

ამას რა სჯობს. უფრო ზუსტად, რა აჯობებდა ასე რომ იყოს.

სამწუხაროდ, სინამდვილე ბევრად სხვანაირია.

დავიწყოთ იმის აღნიშვნით, თუ ვინ შექმნა საკონსტიტუციო კომისია და რა მიზნით, ვინ დაინიშნა კომისიის თავმჯდომარედ და რა ნიშნით, თავმჯდომარემ როგორ განსაზღვრა წევრების შემადგენლობა და ა.შ.

2009 წ. რამდენიმე სტატია გამოქვეყნდა საქართველოში და საზღვარგარეთ, სადაც განხილული იყო სახელმწიფო სისტემის აგების დემოკრატიული და ბიუროკრატიული პრინციპების რაობა, პოლიტიკური კულტურისა და პოლიტიკური მოღვაწეობის მდგომარეობა საქართველოში. მადლობა უფალს, მათთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

რა მივიღეთ შედეგად? სად არის გამოქვეყნებული ახალი კონსტიტუციის პროექტი, რათა რიგითი მოქალაქე წინასწარ გაეცნოს და შეხვედრა-განხილვების დროს ობიექტური აზრი გამოთქვას? რატომ უნდა ვენდოთ განხილვის ორგანიზატორებს და მათ მომხსენებლებს, თუნდაც ის პარლამენტის თავმჯდომარე იყოს. რა არ მოგვისმენია მისი თავდაჯერებული, მონოტონური, გაზეპირებული ფრაზები, რომელთა შინაარსი ნულია, ხოლო ორატორობაზე პრეტენზია სასაცილო?

რას გვპირდებიან კონსტიტუციის პროექტის ავტორები? საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის მტკიცებით, შემუშავებულია შეჯერებული ვარიანტი ევროპის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით. მისი აზრით ეს მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალია. რატომ? იმიტომ, რომ 1995 წლის კონსტიტუციით ქვეყანას მართავდა დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი, რომელიც ერთდროულად მთავრობის მეთაურსაც წარმოადგენდა. ეს ნიშნავდა, რომ მთავრობის წარმატებულ თუ წარუმატებელ საქმიანობაზე პასუხი პრეზიდენტს მოეთხოვდებოდა. მთლიანობაში მთავრობა პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო დემოკრატიულად არჩეული პარლამენტის წინაშე. ცალკე მოიაზრებოდა დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა. ძალაუფლების ამ შტოების გამჭვირვალე საქმიანობას არასამთავრობო (სამოქალაქოძ ორგანიზაციები და საინფორმაციო საშუალებები შეისწავლიდნენ და შედეგს საზოგადოებას გააცნობდნენ. რა, ცუდად იყო ჩაფიქრებული?




ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ მოხდა საკონსტიტუციო ცვლილებები. შედეგად გაიზარდა პრეზიდენტის შესაძლებლობები და დაკნინდა სხვებისა. შემოღებულ იქნა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა და სხვ. ყოველივედან მოგებული დარჩა მხოლოდ პრეზიდენტი, რომელიც განწყობის მიხედვით მთავრობის სხდომებსაც თავად ატარებდა, საკითხებსაც თავად წყვეტდა, უარყოფითი შედეგის შემთხვევაში კი პასუხისმგებლობას პრემიერ-მინისტრს აკისრებდა. ყველა დამნაშავე იყო უარყოფით შედეგში, მის გარდა. ყველაფერი ისე იყო, როგორც იგავ-არაკშია ლომისა და კატის შესახებ.

ფილოსოფოსები ამტკიცებენ, მზისქვეშეთში უცვლელი მხოლოდ ცვალებადობააო. ჰოდა, წლების მანძილზე ვითარება ჩვენი ორჯერ არჩეული პრეზიდენტისთვისაც შეიცვალა. კონსტიტუციის მიხედვით შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის უფლება მას არ აქვს. გამოსავალი ასეთია: მან თავი მუდმივ პრეზიდენტად უნდა გამოაცხადოს, რათა ძალაუფლება შეინარჩუნოს, როგორც ეს ყაზახეთში და ბელორუსიაში მოხდა. მეორე ვარიანტია პრეზიდენტის უფლებამოსილება პრემიერ-მინისტრზე გადაანაწილოს და თავი ასეთად დაანიშნინოს მის მიერ არჩეულ პრეზიდენტს, როგორც ეს რუსეთში მოხდა. არის მესამე გზაც. პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობის გაძლიერება. კათალიკოსის მიერ შეთავაზებული ვარიანტი სამეფო ხელისუფლების აღდგენის შესახებ მას არ აწყობს. სამეფო გვარს ვერაფრით ჩაეზიარება, სისხლი არა აქვს ცისფერი.

2013 წელსაა მოსალოდნელი მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები. შესაბამისად, მოსამზადებელი სამუშაოები უფრო ადრე უნდა ჩატარდეს. ამიტომ შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია, ამიტომ შეირჩა კომისიის შემადგენლობა, ამიტომ აქტიურობენ პროექტის განხილვის ორგანიზატორები.

და ვინ აქტიურობს? ვინ რას გვთავაზობს?

როგორ არ გავიხსენოთ, რა ხანგრძლივი დროის მანძილზე ქმნიდნენ „შევარდნაძის" კონსტიტუციას და რა მოკლე დროში მორჩნენ მის „სახალხო" განხილვას. ნათქვამია: წინა კაცი უკანას ხიდიაო. ჰოდა, რატომ არ უნდა გაეთვალისწინებინათ წინას გამოცდილება? გაითვალისწინა და ამიტომაც აგორდა აგვისტოში „სახალხო" განხილვის პროცესი. ეს ტალღა ჩაივლის და დაიწყება საპარლამენტო განხილვები. რა არ განუხილავს პარლამენტს წარმატებით პრეზიდენტის ნაკარნახევი? ამასაც წარმატება არ აცდება!

განხილვაში მონაწილეობის სურვილი კი არა, სიმართლის თქმის სურვილით უნდა ვთქვათ. ის დემოკრატიული ცვლილებები, რასაც კონსტიტუციის პროექტი ითვალისწინებს, სახელმწიფო ორგანიზაციის ფორმას შეეხება და არა შინაარსს. ამ მხრივ მართებულად თქვა რუსეთის პრემიერმა ვ. პუტინმა: დასავლეთ ევროპაში დემოკრატიულობის ერთიანი გაგება არ არსებობს. არის საპარლამენტო და საპრეზიდენტო რესპუბლიკები, მონარქიები, შერეული მოდელები. შეფასება მართებული იყო თუ დემოკრატიაში სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ფორმას გავითვალისწინებთ და არა შინაარსს.

ჩვენი საკონსტიტუციო კომისია ვ. პუტინის აზრს იზიარებს, როცა ცდილობს საპრეზიდენტო მმართველობის სისტემის ნაწილობრივ საპარლამენტოთი შეცვლა ქვეყანაში დემოკრატიის ზეიმად მონათლოს. თქვე დალოცვილებო, გამოცდილო იურისტებო და მოღვაწენო ფორმა და შინაარსი ხომ უნდა განასხვაოთ, ისიც ხომ უნდა გაითვალისწინოთ, რომ შინაარსია განმსაზღვრელი და არა ფორმა. განა ძნელია იმის გაგება, რომ პრეზიდენტის უფლება-მოსილების გადანაწილება პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეზე, თუნდაც ორპალატიანი, გნებავთ ხუთპალატიანი პარლამენტის შემოღება საქმეს ვერ გამოასწორებს, რადგან თქვენ ფორმას ცვლით და არა შინაარსს. ხომ გისწავლიათ სახელმწიფოს ტიპებისა და ფორმების საკითხი? ხომ იცით, რომ ტიპია განმსაზღვრელი? ხომ იცით ტიპს რა განსაზღვრავს?

კაცობრიობამ სახელმწიფო ორგანიზმის აგების ორი ძირითადი პრინციპი შეიმუშავა: ბიუროკრატიული და დემოკრატიული. პრაქტიკაში უფრო ხშირად ყოფილა მათი შერეული გამოყენების მცდელობა.

ბიუროკრატიული პრინციპი გულისხმობს: 1. თანამდებობებზე ზევიდან ქვევით დანიშვნას; 2. ხელფასებისა და პრივილეგიების ზრდას ქვევიდან ზევით. როცა თანამდებობის პირს ზემდგომი ნიშნავს და ძალაუფლებასთან ერთად ხელფასსა და პრივილეგიებს განუსაზღვრავს, ამით ამ პიროვნებას ყიდულობს. მისთვის ძირითადი ხდება ზემდგომის ერთგულება და უფრო მაღალი თანამდებობის დაკავების სურვილი. ხალხის მასა მას ნაკლებად ადარდებს, მთავარია კმაყოფილები ჰყავდეს „ზევით".

დემოკრატიული პრინციპი გულისხმობს: 1. თანამდებობის პირთა სრულ არჩევითობას; 2. ამომრჩევლების მიერ ამორჩეულთა კონტროლისა და სასამართლოს მეშვეობით გადაყენების შესაძლებლობას; 3. თანამდებობის პირთა საქმიანობის „გამჭვირვალობას"; 4. თანამდებობის პირთა უმაღლესი ხელფასის, კვალიფიციური სპეციალისტის ხელფასთან გათანაბრებას (სახელმწიფოში უმაღლეს და მინიმალურ ხელფასებს შორის 5X1 ან 3X1 თანაფარდობის დამყარებითძ; 5. თანამდებობის პირებისთვის ეკონომიკური პრივილეგიების მოსპობას, იგივე შეეხება პარლამენტის დეპუტატებს.

ლოგიკურია, რომ ეს პრინციპი კერძო სექტორს არ ეხება.

დემოკრატიული პრინციპის რომელი მოთხოვნაა გათვალისწინებული კონსტიტუციის პროექტში? ესაა ძირითადი სამსჯელო.

**ალექსანდრე ახატნელი,**
**იულონ ტოლიაშვილი**

ინფორმაცია

## დევნილებისა და გარემოვაჭრეთა აქცია მერიასთან

**გუშინ** თბილისის მერიის წინ, აფხაზეთიდან დევნილებისა და გარემოვაჭრეების საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციის ორგანიზატორები „კონსერვატორი" ლაშა ჩხარტიშვილი და „ხალხის პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი ალექსანდრე შალამბერიძე იყვნენ.

მომიტინგეები თბილისის მერიისგან დევნილებისთვის დედაქალაქში საცხოვრებელი ფართის დაკანონებას და გარევაჭრობის წესის დამტკიცებას ითხოვდნენ.

როგორც „კონსერვატორმა" ლაშა ჩხარტიშვილმა განაცხადა გარევაჭრობა დაშვებულია ევროპის დიდ ქალაქებში მათ შორის პარიზსა და მადრიდში, თუმცა მისი თქმით, აღნიშნულ ქალაქებში გარევაჭრობა გარკვეული წესით რეგულირდება.

— იგივეს მოვითხოვთ ჩვენც. 2006 წელს თბილისის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც მერიას უნდა დაემტკიცებინა გარევაჭრობის წესი, თუმცა გიგი უგულავას მხრიდან სახეზეა კორუფციული გარიგებები, რომლის მეშვეობითაც მისი მეგობარი ბაზრის მფლობელები ხეირობენ", — განაცხადა ჩხარტიშვილმა და დასძინა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით ისინი პროკურატურაში, გიგი უგულავას წინააღმდეგ სარჩელს შეიტანენ.

გიგი უგულავას წინააღმდეგ სასამართლოში კიდევ ერთი სარჩელი შევა. ამჯერად დევნილების საკითხზე. როგორც საპროტესტო აქციაზე აღინიშნა, აგვისტოში, თბილისის მერიაში შევიდა წერილი, რომლის მიხედვითაც მიტინგების ორგანიზატორები გიგი უგულავას მერიის დაქვემდებარებაში მყოფი შენობების და მათი ფუნქციონირების შესახებ ინფორმაციას სთხოვდნენ, თუმცა ჩხარტიშვილის განმარტებით, მათ მერიისგან პასუხი არ მიუღიათ.

— კანონმდებლობის მიხედვით თბილისის მერიას პასუხი 10 დღის ვადაში უნდა გაეცა, — აღნიშნა ჩხარტიშვილმა.

როგორც აქციის კიდევ ერთმა ორგანიზატორმა ალეკო შალამბერიძემ განაცხადა, გარემოვაჭრეების პრობლემასთან დაკავშირებით ხელმოწერების შეგროვება მიმდინარეობს. მანვე აღნიშნა, რომ მომავალ ხუთშაბათს, 23 სექტემბერს პარლამენტში შევა ინიციატივა გარევაჭრობის წესის დაკანონებასთან დაკავშირებით.

## ოლიმპიურმა ჩემპიონმა დუმილი არჩია

**ოლიმპიურ** ჩემპიონს ძიუდოში ირაკლი ცირეკიძეს მისი მსოფლიო ჩემპიონატიდან მოხსნის დეტალებზე საუბარი არ სურს. როგორც საქართველოში დაბრუნების შემდეგ ძიუდოისტმა ჟურნალისტებს განუცხადა, მისთვის მთავარი იყო შეჯიბრში მონაწილეობა მომზადებულს მიეღო და ამისთვის მზად იყო.

აღსანიშნავია, რომ უახლეს მომავალში ძიუდოს ფედერაციის აღმასკომის სხდომა იგეგმება, სადაც ინციდენტის განხილვის შემდეგ გადაწყდება შეუჩერდება თუ არა ნაკრების მთავარ მწვრთნელს უფლებამოსილება.

თავად ამირან ტოტიკაშვილის განცხადებით, იგი ცირეკიძის ინციდენტში საკუთარ ბრალეულობას ვერ ხედავს.

ჯი-ეიჩ-ენი

ერიჯაა!

# არიქა, ჟინვალი იხრჩობა!

**დიახ, დაბა ჟინვალი იხრჩობა, უწყლობით იხრჩობა და ამის შესახებ, ჩვენდა სამარცხვინოდ, აქამდე ხმა არ ამოგვიღია! ახლა კი, მეტი აღარ შეგვიძლია და ხმის ჩახლეჩამდე უნდა ვიყვიროთ, — ჟინვალი უწყლობით იხრჩობა!**

არადა, ჩვენი რაიონის თუ რესპუბლიკის ხელმძღვანელები ხშირად ჩამოდიან სტუმრად, ეწყობა ზარ-ზეიმიანი შეხვედრები, მაგრამ ხალხის გასაჭირზე არავინ არაფერს ამბობს. წყალი ახლო-მახლო წყაროებიდან მოგვაქვს და სარეცხად და სხვა მოსამარაგებისთვის მისი დახარჯვაზე ფიქრიც კი გვზარავს!

მალე, რაღაც აუზს ხსნიან ჟინვალში და პრეზიდენტს თუ პარლამენტის თავმჯდომარეს ელოდებიან, ამბობენ, მაგრამ ვიცით, იმ დღეს (ერთი დღით!) კი გამოუშვებენ წყალს, მაგრამ მერე პირში „ჩალას" გამოგვავლებენ: ისინი წავლენ და ჩვენი წყალიც რაგვს გაჰყვება! მართალია, ესეც ჩვენი ბრალია, ხალხი პირში წყალს რომ იგუბებს და ხმას არ იღებს, აბა, ვინ მოგვაქცევს ყურადღებას? ამათ მარტო ტაშ-ფანდურით უნდა ქვეყნის აშენება? პრეზიდენტი კი, ჩამოვა და „მეზობლებს" დაავალებს ყველაფერს და თავს მოიწონებს სამი კაცი რომ დაასაქმა იმითი, მაგრამ დანარჩენებს რა „ვირის თავფეხი"?

ამიტომ, პატივცემულო რედაქციავ, გთხოვთ, შეგვეშველოთ, რომ მთავრობამდე მივიდეს ჩვენი უწყლობისაგან ხმაჩახლეჩილი ნაყვირალი!

მთელი ჟინვალის სახელით

**გიგო პაპა.**

***P.S. — ჩემს ნამდვილ სახელს და გვარს არ ვწერ. რადგან მეშინია: ჩვენს რაიონში ასეთი წესია — ხმას ამოიღებ და მერე „შენი აჯობებს"..***

◉ ფიქრები

# საცრით მოტანილი წყალი...

**ქართველები უცნაური ხალხი ვართო, – ასეთი მოსაზრება ხშირად მსმენია და ახლა მეც ვუერთდები ამ მოსაზრებას...**

საქმე ის არის, რომ ცხოვრებაში ბევრი კარგი სურვილი და მიზანიც გვაქვს, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად ერთობლივი ძალით და შემოქმედებითი უნარით შრომა გვიჭირს. სამაგიეროდ, არ გვიჭირს მივიწეროთ ის, რაც არა ვართ. მეცხრამეტე საუკუნეში ქართველებმა ჩვენი დედაქალაქის პარიზთან შედარება დავიწყეთ, რისიც არანაირი საფუძველი არ გვქონდა, თუმცა, შეიძლება რომელიმე უცხოელმა სტუმარმა მართლაც შეადარა ჩვენი საყვარელი დედაქალაქი პარიზს, ალბათ სულისკვეთებით, ჩვენი ბანოვანთა ბუდუარებით, ჩაცმა-დახურვით, თავადთა დახვეწილი ქცევებით და მდიდრული ცხოვრების წესით, შეიძლება შემოქმედთა სალონებიც ხელს უწყობდნენ ასეთ მოსაზრებას, მაგრამ ჩვენი კოპწია ქალაქისთვის ასეთი უზარმაზარი „დეტალები“ დამამშვენებელი სრულებითაც არ იქნება. ასე ვფიქრობთ ზოგიერთები, ქალაქის იერსახით დაინტერესებულები, ამ საქმის მცოდნენი და არამცოდნენი, მაგრამ ჩვენ ვინ გვკითხავს, როცა არქიტექტორები დუმან. თუმცა ეს როგორი დუმილია, განა ისინი არ აპროექტებენ და აშენებენ ამ სახლებს?

სულ ახლახან გავიგე, რომ ჩვენი ქალაქის ერთ მშვენიერ კუთხეში კომუნისტების მიერ არც თუ ურიგოდ აშენებულ ეროვნული მეცნიერების ბიბლიოთეკის (ყოფილი აკადემიის ბიბლიოთეკა) შენობასაც დაადგეს თვალიო. მართალია ალბათ და „ლოგიკურიც“. მეცნიერთა და აკადემიკოსთა რიცხვი თანდათან მცირდება საქართველოში და ბიბლიოთეკა რა საჭიროა! მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ამ მშვენიერ ბიბლიოთეკას, რომელსაც ყველაფერი მასივების ეგრეთ წოდებულ „ხრუშჩოვკებიდან“ და ნუცუბიძის ულამაზესი პლატოს აწოწილი შენობებიდან დაიწყო და მაშინდელი დაშვებული შეცდომების გამოსწორების ნაცვლად ყველაფერი ისევ გრძელდება, ოღონდ „ახლებურად.“

ახლა მთელი ქალაქი გადათხრილია. ალბათ მიზანი და საფუძველიც აქვს ამ პროცედურას, მაგრამ ყოველთვის მაოცებდა და ახლაც მაოცებს წელიწადში თითქმის რამდენჯერმე ერთი და იგივე საქმის კეთება. ალბათ ერთი და იგივე არ არის . თუმცა ერთი რამ ხომ ფაქტია: რამდენი მუშახელი, რამდენი ტექნიკა, თავის მტვრევა, პროექტის შედგენა და ყველაფერი ამისათვის რამდენი ხარჯი უნდა გაიღოს ქალაქმა! უბრალო მოქალაქეს გებადება აზრი: ხომ შეიძლებოდა წინასწარ კარგად, დაკვირვებულად და საფუძვლიანად შესწავლილიყო ქალაქის განვითარების პერსპექტიული პრობლემები და საჭიროებანი თუნდაც სამი, ოთხი წლის გათვალისწინებით და იქნებ რამდენჯერმე გასათხრელ-გადასათხრელი არ გამხდარიყო ქალაქის ქუჩები და ტროტუარები. რა შენი საქმეაო, განა ქალაქის ხელმძღვანელობამ უკეთ არ იცის? – იტყვის ზოგიერთი. მაგრამ მე და კიდევ სხვა ზოგიერთები ვფიქრობთ, რომ სწორედაც ჩვენი საქმეა ყველაფერი ის, რაც ქვეყანაში ჩვენი ანუ ხალხის ფულით კეთდება და გარდა ამისა, მდინარიდან საცრით მოტანილი წყლისა არ იყოს, ისე ხომ ვხვდებით ვერაფერი შვილი პარიზი ჩვენ ვერ ვიქნებოდით იმ გაურკვეველ დროში, როდესაც ჩვენი ერისა და ქვეყნის ბედ-იღბალი ბეწვზე ეკიდა, როდესაც ქალაქს ან სულაც არავინ ან კიდევ გაურკვეველი შეხედულებების ადამიანები მართავდნენ (პირველი მერი მგონი იმ ხანებში აირჩიეს!) ეს ნაომარი და ათასი მტრის ხელში გამოვლილი ქალაქი, საერთოდ რომ არსებობდა და ქალაქურადაც სუნთქავდა, მართლაც გასაოცარი იყო! არქიტექტორთა გააზრებული დაგეგმარება , ინიციატივა და ფული აუცილებელი იყო ქალაქის ასალორძინებლად, მაგრამ სად იყო!.. მაინც ომახიანად ვიფერებდით სტუმართა თუ შინაურ-გარეულთა კომპლიმენტებს და თვითკმაყოფილები უდარდელადაც ვცხოვრობდით. რომ არა თითზე ჩამოსათვლელი რამდენიმე ქართველი მოღვაწე და ერის მოამაგე, ვინ იცის საით წავიდოდა ჩვენი ცხოვრება... მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, როგორ ვთქვა, რომ უბედო ხალხი ვართო, დიდი სისხლის ღვრისა და უბედურების შემდეგ მაინც აღვსდექით, გავბევრდით და გავმრავლდით, ქვეყანა ქვეყანას დავამსგავსეთ ჩვენ, საკუთრივ თუ სხვათა დახმარებით, ეს კიდევ სხვა თემა და სხვა საკითხია...



ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ თუ მეცხრამეტე საუკუნეში ქართველებს პარიზისკენ გვქონდა აქცენტი, ახლა აგერ ოცდამეერთე საუკუნეში უკვე სულ სხვა რამ მოვინდომეთ და ამერიკის ნიუ-იორკისაკენ ავიღეთ გეზი. აღდგენილი და აშენებული ქალაქ თბილისი, რომელსაც დროდადრო ნამდვილად ესაჭიროებოდა კონტურების ლამაზად შემოხაზვა და შეკეთება საკუთარ, მაგრამ გათანამედროვებულ არქიტექტურულ სტილში, მტერს რომ გაუხარდებოდა ისე მივანგრ-მოვანგრიეთ, მთაგორიანი ქვეყნის შესაფერისი შენობების ნაცვლად ცხრამეტსართულიანი სახლების შენება დავიწყეთ, ესეც არ ვიკმარეთ, ახლა ოცდაათსართულიანებსაც ჩავიბარებთ უმოკლეს დროში. ასეთი „აღმავლობა“ ისე სწრაფად ხდება, რომ იმედი უნდა გვქონდეს ჩვენი ცენტრალური ტრასების ორმოცდაათი და მეტი სართულიანი შენობებით დამშვენებისა, თუმცა, შესანიშნავად აწყობილი, უზარმაზარი (და განათლებული, წიგნიერი ხალხისათვის საამაყოძ, მრავალდარგოვანი წიგნადი და არა მარტო წიგნადი ფონდი აქვს, დღემდე დიდი რაოდენობით მკითხველი და მომხმარებელი ჰყავს, მათი სიყვარულით და პატივისცემით (საკუთარი პროფესიის პატივისცემითაც!ძ საწყალი ჩვენი ბიბლიოთეკარები მიზერული ხელფასით მუშაობენ იქ...

მომისმინე, ჩემო მკითხველო, ხომ გვახსოვს ვითომ მოსაჭრელად განწირული ხის ნაჯახისადმი ნათქვამი ქართული ანდაზა, ალბათ ასეთი უცნაურობების დროს, როცა კაცმა გაიხედ-გამოიხედა და დაინახა რომ მტერი კი არა თავისი სისხლი და ხორცი, თავისი თანამემამულე იყო მისი დამაქცევარი, ხელი ჩაიქნია, თავისი ბედი მოსაჭრელად გამზადებულ ხეს შეადარა და თქვა: „ეჰ, ჩემო ნაჯახო, შენ მე რას მომერეოდი ჩემივე მოდგმის ტარი რომ არ გქონოდაო“. ასე გვჭირდა და ახლაც ასე გვჭირს ქართველებს, გარეშე მტერზე მეტ ვნებას შინაურის უგუნურება გვაყენებს.

ქალაქის გალამაზების არცოდნით თუ სხვა ქვეყნების მოდერნიზებულ ქალაქებზე წახედურობით ჩვენმა ნაქებმა თბილისმა ორიგინალური ხიბლი და პეწი დაკარგა. ეს ახალი ამბავი როდია, მაწუხებს უთავბოლოდ გაწეული შრომა, როგორც საკუთარ ოჯახში შექმნილი პრობლემა. ისედაც მტვრიანი ქალაქის მეტისმეტად დამტვერიანებაც გვალიზიანებს ხალხს. გაგვიჩნდა წვიმის წამოსვლის შიშიც, რასაც კიდევ უფრო მეტი ჭუჭყი და ტალახი მოჰყვება... ქალაქის მთავრობა იმის გამთვალისწინებელი უნდა იყოს, რომ ქუჩა, რომელიც შარშან დიდი ვაივაგლახით დააგეს, ტროტუარები, რომელიც მოსახლეთა მრავალჯერადი თხოვნის შემდეგ როგორც იქნა შეასწორეს, ხელახალი დასანგრევ -ასყრელი არ უნდა გამხდარიყო.

დიახ, მაწუხებს და მახარებს ჩემი ქალაქის და ჩემი ქვეყნის ავი და კარგი. საქართველო პატარა ქვეყანაა, ჩვენ, აქ მცხოვრებნიც, ანუ ქართველებიც (ყველა მოქალაქეს ვგულისხმობ!ძ ცოტანი ვართ, მაგრამ იმდენი კი ვართ და იმდენი კი შეგვიძლია, რომ ჩვენი შრომით, ნიჭით და უნარით საკუთარ თავს და საკუთარ ქვეყანას სიკეთე მოვუტანოთ. მაგრამ კარგი, ჭკვიანი და საზრიანი წინამძღოლი – ყოჩი თურმე ფარას როდი სჭირდება მარტო. ყველგან და ყველაფერში საჭიროა სწორად გათვლილი გზით და მიმართულებით სიარული.

**გულნარა სტურუა**

◉ ინფორმაცია

## საარჩევნო მოდელთან დაკავშირებული ცვლილებები არ იგეგმება

**უახლოეს პერიოდში კონსტიტუციაში საარჩევნო მოდელთან დაკავშირებით ცვლილებები არ იგეგმება, თუმცა საარჩევნო მოდელის დახვეწისთვის მუშაობა გაგრძელდება. ამის შესახებ განცხადება გუშინ პარლამენტში საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან მას შემდეგ გაკეთდა, რაც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხი ევროსაბჭოს იურიდიული და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრები დაინტერესდნენ.**

**საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხი ევროსაბჭოს იურიდიულ და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სხდომაზე გაკეთდა.**

**როგორც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ პავლე კუბლაშვილმა განაცხადა, ჯერჯერობით იმის ერთმნიშვნელოვნად თქმა თუ როგორი იქნება საარჩევნო მოდელი შეუძლებელია, თუმცა ამ საკითხზე მუშაობა აუცილებლად გაგრძელდება“.**

**ამასთან, კუბლაშვილი იმასაც აკონკრეტებს, რომ ეს მუშაობა მოხდება საერთაშორისო ორგანიზაციის მედიატორობის პირობებში და ყველა პოლიტიკური ძალის მონაწილეობით, თუმცა ჯერჯერობით ვერ აკონკრეტებს უშუალოდ რომელი საერთაშორისო ორგანიზაცია გაუწევს კურირებას საარჩევნო მოდელზე მუშაობას. ამასთან, კუბლაშვილი იმასაც აცხადებს, რომ ამ ეტაპზე საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა არ იგეგმება.**

ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ

№2/585-10

# განჩინება

### საქართველოს სახელით

**31 აგვისტო, 2010 წელი** **ქ. ბათუმი**

**ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ვიოლეტა ფორჩხიძემ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა გადაწყვეტილების საჯარო შეტყობინების განხორციელების საკითხი სამოქალაქო საქმეზე დარეჯან ქუთათელაძის სარჩელისა გამო შ.პ.ს „ოდისეის“, ნუგზარ დათიკაშვილისა და ნოტარიუს ხუხა მოსიას მიმართ:**

***გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:***

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილებით დარეჯან ქუთათელაძის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ

1. მოპასუხე ნუგზარ დათიკაშვილს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ძირითადი თანხის – 566 000 აშშ დოლარის, 2010 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით მასზე დარიცხული პროცენტის – 499 916 აშშ დოლარის და პირგასამტეხლოს სახით 400 000 აშშ დოლარის – სულ 1 465 916 (ერთი მილიონ ოთხას სამოცდახუთი ათას ცხრაასთექვსმეტიძ აშშ დოლარის გადახდა.

2. მოპასუხე ნუგზარ დათიკაშვილს ასევე დაეკისრა მოსარჩელე დარეჯან ქუთათელაძის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე სესხის ძირითადი თანხის ყოველთვიურად 3 პროცენტის და ყოველდღიურად პირგასამტეხლოს სახით გადასახდელი (სესხის ძირითადი თანხისძ თანხის 0.01 პროცენტის გადახდა.

3. ნუგზარ დათიკაშვილს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ მის მიერ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის თანხის 3 000 ლარის გადახდა.

4. მოპასუხე ირაკლი ჯაშის შეგებებული სარჩელის მოთხოვნას დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი უსაფუძვლობის გამო.

5. მოსარჩელის სასარგებლოდ დაკისრებული თანხების გადახდევინება მოხდეს იპოთეკის საგნის – უძრავი ქონების მდებარე ქ. ბათუმში მელიქიშვილის ქ. № 48 და პუშკინის ქ. № 132-ის კვეთაში არსებული შპს „ოდისეის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების იძულებითი აუქციონის წესით რეალიზაციიდან ამოღებული თანხის ხარჯზე.

6. მოსარჩელეს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებაზე ეთქვა უარი.

7. მოპასუხეს შეგებებულ სარჩელზე დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით 3 000 (სამი ათასიძ ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

8. სახელმწიფო ბაჟის თანხა ჩაირიცხოს სახელმწიფო ხაზინა № 220101222, ბიუჯეტის შემოსულობების ერთიან ანგარიშზე № 200122900; ბაჟის კოდი № 300693150.

2010 წლის 30 აგვისტოს ბათუმის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მომართა დარეჯან ქუთათელაძის წარმომადგენელმა მურთაზ კლდიაშვილმა და მოითხოვა 2010 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილების საჯაროდ გამოქვეყნება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, სასამართლო უწყებას აბარებს ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს ანდა გამოაქვს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით, ხოლო მე-3 პუნქტის თანახმად მოსარჩელე უფლებამოსილია სასამართლოს განჩინების საფუძველზე თავისი ხარჯებით განახორციელოს საჯარო შეტყობინება პუბლიკაციის მეშვეობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე კანონის დასახელებული ნორმით დადგენილი წესის გამოყენებით მიზანშეწონილია მოპასუხეს საჯარო შეტყობინების გზით ეცნობოს გადაწყვეტილების შესახებ. შეტყობინება უნდა განხორციელდეს მოსარჩელის ხარჯზე. ამასთან, სასამართლოს მიაჩნია, რომ შეტყობინება უნდა განხორციელდეს იმ გაზეთის მეშვეობით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ძ.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე 284-ე და 285-ე მუხლებით.

***დ ა ა დ გ ი ნ ა:***

1. განხორციელდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 11 აგვისტოს საქმე № 2/585-09 გადაწყვეტილების საჯარო შეტყობინება.

2. საჯარო შეტყობინება განხორციელდეს იმ გაზეთის მეშვეობით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ძ.

3. განჩინება არ საჩივრდება.

**მოსამართლე: ვიოლეტა ფორჩხიძე.**

**ასლი დედანთან სწორია.**

**მოსამართლის თანაშემწე: მადლენა შანთაძე.**

შვილიშვილის სარჩელი

იური მუხინი

# ასამართლებენ სტალინს

და მხოლოდ მე როდი მიჩნდება ასეთი ეჭვები. აი კორეის ომის საუკეთესო ასის ე.პეპელიაევის მოგონებები თავისი უდანაშაულოდ დაზარალებული პოლკის მეთაურის მაიორ კაზანცევის შესახებ, რომელსაც წესად ჰქონდა ედღეგრძელებინა სტალინი და თავისი ცოლი ერთ სადღეგრძელოში.

„მალე წავედი პოლკიდან, მივიღე დანიშვნა – შენაერთის მფრინავი ინსპექტორის თანამდებობაზე. რამდენიმე დღის შემდეგ გავიგე, რომ მაიორი კაზანცევი გაასამართლეს და რამდენიმე წლის ციხე მიუსაჯეს. რახან ეს ხდებოდა შორეულ აღმოსავლეთში, კაზანცევს შორს წასვლა არ მოუწია, აღმოსავლეთში პატიმრობის ადგილები ახლოს იყო.

ომის შემდეგ, ხაბაროვსკში, შემთხვევით შევხვდი სასურსათო სამსახურის უფროსს. მან მიამბო, რომ ერთ ხანს იჯდა კაზანცევთან ერთად, რომელიც გაასამართლეს და ჩამოაქვეითეს თითქოს არა დანაშაულისთვის და მუშაობაში დაშვებული შეცდომისთვის, არამედ იმიტომ, რომ ერთ-ერთ სუფრაზე მან მოახდინა სტალინის დისკრედიტაცია, როდესაც ერთდროულად სტალინისა და თავისი ცოლის სადღეგრძელო წარმოთქვა, რითაც ერთ საფეხურზე დააყენა ბელადი და საკუთარი ცოლი.

აი ასეთი ცუდი ისტორია გადახდა თავს მაიორ კაზანცევს ჟოლტი იარის აეროდრომზე 1943 წლის დასაწყისში.

ეს ვერსია სავსებით მართალი ჩანდა და შეესაბამებოდა გარდაქმნის დროს, როდესაც ყველაფერ კარგს, რაც იყო საბჭოთა ხელისუფლების დროს, სვრიდნენ ტალახით და შავი საღებავით.

სინამდვილეში, როგორც გვიან გავიგე, მაიორი კაზანცევი გაასამართლეს არა პოლიტიკური მიზეზების გამო, არამედ ქურდობისთვის. მასთან ერთად გაასამართლეს და გაგზავნეს ბანაკში სასურსათო სამსახურის უფროსი და ერთ-ერთი ბატალიონის მეთაური – იგი ქურდობისა და დოყლაპიობის გამო: დაიკარგა 30 ტონაზე მეტი ბენზინი“.

ეგეც შენი „უდანაშაულოდ დასჯილები“.

არ ღირს მივიჩნიოთ იაპონელები თმადაუვარცხნელებად, რომლებიც ვერ ხვდებოდნენ, რომ შეექმნათ ბაიკალს გადაღმა სადაზვერვო ქსელი, ამიტომ არშინსკის ურჩევნია ჩაიხედოს დიდი ბაბუის საქმეში – იქნებ მას მართლა დასწამეს ცილი, იქნებ არშინსკიმაც გაიგოს არა ის, რასაც შეეგუა.

მაგრამ უფრო მარტივია, მოუსმინო არა უდანაშაულოდ „რეაბილიტირებულსო“, არამედ აშკარა მტერს, ვთქვათ, დ. პანინს. 1940 წელს ის ჩასვეს 58-10-ე მუხლით „პროპაგანდა ან აგიტაცია, რომელიც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების დამხობის ან დასუსტების მოწოდებას ან ცალკეული კონტრრევოლუციური დანაშაულის მოწყობას“. ხოლო თუ რას მოუწოდებდნენ „მათს წრეში“, პანინმა დაწერა დასავლეთში გამოცემულ თავის წიგნში (დასავლეთში წავიდა 1972 წელს) „ლუბიანკა – ეკიბასტუზი“.

„საკითხი ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის დაბრუნების შესახებ ჩვენში არავითარ ეჭვს არ იწვევდა. ჩვენ თანახმა ვიქნებოდით მის XIX საუკუნის თავდაპირველ ფორმაზეც. ყოველ შემთხვევაში მაშინ მონობა არ ყოფილა, შრომა იყო ნებაყოფლობითი, კაპიტალისტებთან შეიძლებოდა გებრძოლა, პარლამენტი და ფილანტროპები დაგეხმარებოდნენ...

... ჰიტლერი გვპირდებოდა ომს სტალინის წინააღმდეგ და ეს იძლეოდა იმედს და ძალებს – გადაგვეტანა არსებობის საშინელი პირობები, მოთმინებით ველოდებოდით ჩვენს საათს. მოსახლეობის სხვადასხვა ფენები ელოდებოდა ომს, როგორც გათავისუფლებას და მათთვის სულ ერთი იყო, ვინ დაიწყებდა ამ ომს. ვოცნებობდით მხოლოდ იმაზე, რომ ის რაღაც შეიძლება მალე დაწყებულიყო. ჰიტლერის მხარდაჭერა ესპანეთის ანტიკომუნისტური ძალებისადმი ამის სასარგებლოდ ლაპარაკობდა.

... ჩვენ, ოცდაათიანი წლების ახალგაზრდებმა, კარგად ვიცოდით ვითარება ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ დასავლეთი წარმოგვედგინა როგორც ერთიანი მთლიანი, ლოგიკურად მოქმედი ძალა.

დასავლეთში ბევრს წერდნენ ჰიტლერსა და სტალინს შორის სასურველი ჩხუბის შესახებ. ბუნებრივია, ამას მივესალმებოდით ჩვენც. ცხადი იყო, რომ ამისთვის დასავლეთი ბევრ დათმობაზე მიდიოდა, მიუნხენის შეთანხმებამდეც კი, რომლის მიხედვითაც ჰიტლერს გადაეცა ჩეხოსლოვაკია. მაგრამ ორ დესპოტს შორის შეჯახების რეალიზაციისთვის საჭირო იყო საერთო საზღვარი, და მიუნხენის პოზიციიდან გაურკვეველია, რატომ გადაწყვიტეს ჩეხოსლოვაკიის მსხვერპლად შეწირვა. როდესაც ჰიტლერის პოლონეთზე თავდასხმის გამო წარმოიქმნა საერთო საზღვარი, ბევრმა გადაწყვიტა, რომ ომი საბჭოთა კავშირთან შორს აღარ იყო – ხალხი დარწმუნებული იყო მის გარდაუვალობაში.

და აი ჰიტლერი თავს დაესხა სტალინს. ჩერჩილი, რომელიც თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე არაერთგზის დეკლარირებდა, რომ ის არის კომუნიზმის წინააღმდეგ მებრძოლი, და იმასაც კი გაიძახოდა, რომ ბოლოს მოუღებს მას საერთოდ, დაუყოვნებლივ გაიქცა სტალინთან, დადო ხელშეკრულება, შემდეგ კი რუზველტთან ერთად პირდაპირ გადაარჩინეს ეს საზარელი რეჟიმი“.




როგორც ხედავთ, ამ ტურას უნდოდა, რომ ჰიტლერი დასხმოდა თავს სსრ კავშირს, და კიდევ სსრ კავშირს არ ჰქონოდა მოკავშირეთა დახმარება, და მას ფეხებზეც არ ეკიდა, რომ მისთვის სასურველ ამ ომში დაიღუპა 23 მილიონი საბჭოთა ადამიანი, მათ შორის ბიძაჩემიც. ამ ტურას რეაბილიტაციაც მოახდინეს ალბათ. მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს საქმეს.

უნდა ითქვას, რომ სასამართლოზე მოპასუხეებმა უმალვე გადაგვთელეს სწორედ სიკვდილისშემდგომი რეაბილიტაციით, იმით, რომ ხრუშჩოვის დროიდან უმაღლესმა სასამართლომ მოახდინა ასეული ათასობით ადამიანის რეაბილიტაცია. მაგრამ მოპასუხე იაბლოკოვი კატინის საქმეზე გამომძიებლად თავის მუშაობამდე იყო სწორედ ის პროკურორი, ვინც რეაბილიტირებას ახდენდა. და მოგვიწია წაგვეკითხა სასამართლოსთვის ციტატა იაბლოკოვის სადავო სტატიიდან: „რეპრესირებულთა საქმეების გადასინჯვა კი ხდებოდა ინდივიდუალურად, მაგრამ ბევრ რამეში იყო ფორმალური, ვინაიდან პრაქტიკულად, პროკურორები დასაქმებული იყვნენ ქვეყნის ხელმძღვანელობის პოლიტიკური ნების შესრულებაზე – მოეხდინათ რეპრესირებულთა რამდენიმე ჯგუფის რეაბილიტაცია“. ასე რომ, არშინსკის დიდი ბაბუა, ისევე როგორც ყველა რეაბილიტირებული, რეაბილიტირებული იყო არა იმიტომ, რომ უდანაშაულო იყო, არამედ იმიტომ, რომ ასეთი იყო ხრუშჩოვის ნება.

არშინსკიმ ასეთი ცბიერი შეკითხვა მომცა: „იქნებ სტალინი „იძულებული იყო“ მოეხდინა და გაენადგურებინა მილიონობით უბრალო საბჭოთა მუშა, გლეხი, მცირეწლოვანი ბავშვებიც – მოდით, აგვიხსნას ავტორმა, ვინ აიძულებდა ამას სტალინს?“

ვფიქრობ, არ იყო საჭირო სტალინის იძულება გაენადგურებინა „მეხუთე კოლონა“, მაგრამ ისტორიული სიმართლისთვის არშინსკიმაც უნდა იცოდეს, რომ „მეხუთე კოლონის“ განადგურების მოთხოვნა მოდიოდა ქვემოდან და ეს არ ყოფილა პოლიტბიუროს იდეა. ერთი მხრივ, ახლოვდებოდა ომი, რისკენაც მოუწოდებდნენ პანინები, მეორე მხრივ, ახლოვდებოდა 1937 წლის 12 დეკემბრის თავისუფალი არჩევნები და საჭირო იყო, რომ ხალხი კმაყოფილი ყოფილიყო ხელისუფლებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ის მას ხმას არ მისცემს – არ მივა არჩევნებზე ან წინააღმდეგ მისცემს ხმას.

ხალხი კი ხელისუფლებით კმაყოფილი იქნება, თუ თავისუფლად იგრძნობენ თავს სისხლის სამართლის დამნაშავეები, ხელისუფლების მტრები, ხალხი, რომელიც მოუწოდებდა ჰიტლერს დაეწყო ომი, მახინჯები, რომ გაჰკივიან იმის შესახებ, რომ სსრ კავშირს კაპიტალიზმი სჭირდება XIX საუკუნის ფორმით? და მოთხოვნა ქვეყნის წინასწარი გაწმენდის შესახებ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე წამოვიდა ქვემოდან – საოლქო კომიტეტების მდივნებიდან. ხალხი მოითხოვდა ქვეყნის გაწმენდას. „დემოკრატები“, რომლებიც ხალხს არაფრად აგდებენ და მიეჩვივნენ „ხალხად“ იგრძნონ მხოლოდ საკუთარი თავი, ამას ვერ გაიგებენ. წარმოიდგინეთ, რომ დღეს კენჭისყრაზე დააყენონ საკითხი: საჭიროა თუ არა რუსეთის გაწმენდა ოლიგარქებისგან, სისხლის სამართლის დამნაშავეებისგან, გამყიდველი ჩინოვნიკებისა და პოლიტიკოსებისგან? რას მისცემდა ხალხი ხმას? არა, რიარია კი არა, სატელევიზიო ეკრანებზე რომ ატრიალებენ, არამედ ის ხალხი, ვინც დღეს არ მიდის არჩევნებზე.

ამიტომ პოლიტბიუროსა და სტალინს გამოსავალი აღარ რჩებოდა – უნდა მიეღოთ ზომები, რომ წმენდის პროცესი არ შეხებოდა უდანაშაულოებს.

ცოტა ფაქტებიც. აი წაიკითხეთ ასეთი დოკუმენტი.

***„სკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს – ამხ. ი. სტალინს. 1937 წლის 10 ივლისი.***

*გაცნობებთ, რომ სულ სისხლის სამართლისა და კულაკური ელემენტები, რომლებმაც მოიხადეს სასჯელი ქ. მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში, აღრიცხულია 41 305 კაცის რაოდენობით. მათგან სისხლის სამართლის საქმეში აღრიცხულია 33 436 კაცი.*

*არსებული მასალები იძლევა საფუძველს პირველი კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეს მივაკუთვნოთ 6500 კაცი და მეორე კატეგორიისას – 5272 კაცი.*

*კულაკებიდან, რომლებმაც მოიხადეს სასჯელი და ჩარჩნენ მოსკოვსა და ოლქის რაიონებში, აღრიცხულია 7869 კაცი.*

*არსებული მასალები იძლევა საფუძველს ამ ჯგუფიდან პირველი კატეგორიას მივაკუთვნოთ 2000 კაცი და მეორეს – 5869 კაცი.*

*გთხოვთ დაამტკიცოთ კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ამხ. რედენსი – შინსახკომის სამმართველოს უფროსი მოსკოვის ოლქში, მასლოვი – მოსკოვის ოლქის პროკურორის მოადგილე, ნ.ს. ხრუშჩოვი – მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი, აუცილებლობის შემთხვევაში მისი ამხ. ა. ვოლკოვით – მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნით – შეცვლით.*

***სკპ (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივანი ნ. ხრუშჩოვი“.***

როგორც ხედავთ, ხრუშჩოვი ითხოვდა დაენიშნათ იგი სასამართლო სამეულის წევრად, რომ პირადად გამოეტანა დახვრეტის განაჩენი – მარტო სისხლის სამართლის დამნაშავეებისა და კულაკებისთვის 8500 კაცის ოდენობით.

შეიძლება, უფრო ზუსტ მონაცემებზე დაყრდნობით, ან შეიძლება სიფრთხილის გამო პოლიტბიურო ამცირებდა მოთხოვნებს ქვემოდან, აწესებდა „ლიმიტებს“, ესე იგი საზღვრებს რეპრესიებისთვის. პოლიტბიურო არ იძლეოდა ნებას დაეხვრიტათ იმდენი, რამდენსაც ითხოვდა ხრუშჩოვი.

მაგალითად, ერთი თვის შემდეგ შინსახკომის № 0047 ბრძანებით ხრუშჩოვს ნება მისცეს დაეხვრიტა სისხლის სამართლის დამნაშავეები, კულაკები, ფაშისტური, მეამბოხე და ბანდიტური ორგანიზაციების წევრები, სულ 5000 კაცი, ესე იგი გაცილებით ნაკლები, ვიდრე ხრუშჩოვი ითხოვდა მხოლოდ სისხლის სამართლის დამნაშავეთა სახით.

აი ამ მითითებებს – „მოხდეს რეპრესირება არა უმეტეს...“ – დღეს წარმოგვიდგენენ, მათ შორის არშინსკიც, როგორც სტალინის ბრძანებებს „დაიხვრიტოს“. ამ დროს ეჟოვის უკვე ნახსენებ № 0047 ბრძანებაშიც კი არის მოთხოვნა: *„დამტკიცებული ციფრები არის საორიენტაციო. მაგრამ რესპუბლიკების სახკომსაბჭოების სახალხო კომისრებს და სახკომსაბჭოს სამხარეო და საოლქო სამმართველოების უფროსებს არ აქვთ უფლება, დამოუკიდებლად გაზარდონ ისინი. ციფრების დამოუკიდებლად ნებისმიერი გაზრდა დაუშვებელია.*

*იმ შემთხვევებში, როდესაც ვითარება მოითხოვს დამტკიცებული ციფრების გაზრდას, რესპუბლიკების შინსახკომის სახალხო კომისრები და შინსახკომის სამხარეო და საოლქო სამმართველოების უფროსები ვალდებული არიან წარმომიდგინონ მე შესაბამისი მოტივირებული შუამდგომლობანი“.*

და აი ქვემოდან, ოლქებიდან, მოდიოდა მოტივირებული შუამდგომლობანი ლიმიტების გაზრდის შესახებ და, ბოლოს და ბოლოს, მივიდნენ იმ მოტივაციამდე, რომ პოლიტბიურომ მოახდინა თავად მოტივაციების ავტორთა რეპრესია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეფექტი რეპრესიებისა უსათუოდ იყო, იყო თვალსაჩინო, ასე ვთქვათ, შეუიარაღებელი თვალითაც.

ამერიკის ელჩმა სსრ კავშირში 1937-1938 წლებში ჯოზეფ უ. დევისმა გერმანიის სსრ კავშირზე თავდასხმის შემდეგ თავის დღიურში (1941 წლის 7 ივლისიძ ჩაწერა: *„... დღეს ჩვენ ვიცით, გამოძიებათა ფედერალური ბიუროს ძალისხმევის წყალობით, რომ ჰიტლერული ორგანოები მოქმედებდნენ ყველგან, შეერთებულ შტატებსა და სამხრეთ ამერიკაშიც კი. გერმანელების შესვლას პრაღაში თან ახლდა გელენის სამხედრო ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერა. იგივე ხდებოდა ნორვეგიაში (კვისლინგიძ, სლოვაკიაში (ტისოძ, ბელგიაში (დეგელიძ... მაგრამ ვერავითარ მსგავს რამეს რუსეთში ჩვენ ვერ ვხედავთ. „სად არიან ჰიტლერის რუსი ხელშემწყობნი?“ – ხშირად მეკითხებიან მე. „ისინი დახვრიტეს“, – ვუპასუხებ მე. მხოლოდ ახლა იწყებ იმის შეგრძნებას, თუ როგორ შორსმჭვრეტელურად მოიქცა საბჭოთა მთავრობა წმენდის წლებში“.*

(გაგრძელება იქნება)

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 155-168.**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აფხაზეთი გაეროს რეზოლუციის წინააღმდეგ

**სამშაბათს სოხუმი გამოვიდა საქართველოს რეზოლუციის – „აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხზე“ – წინააღმდეგ, რომელიც ამ დღეებში ხმების უმრავლესობით მიიღო გაეროს გენერალურმა ასამბლეამ. აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართვაში გაეროსადმი არის თხოვნა – გადასინჯონ რეზოლუცია, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებას**

ოფიციალური თბილისი ინდიფერენტულად შეხვდა აფხაზეთის მხარის მოქმედებას, ყურადღება მიაპყრო მხოლოდ მას, რომ აფხაზეთი – უღიარებელი რესპუბლიკაა, რომელიც არ არის წარმოდგენილი გაეროში და, მაშასადამე, მას არ გააჩნია სიტუაციაზე ზემოქმედების ბერკეტები.

გაეროს გენერალურ ასამბლეაზე რეზოლუციის განხილვის ინიცირებით საქართველოს იმედი ჰქონდა, რომ მისი მიღება საშუალებას მისცემს ლტოლვილებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს, გამოაცხადონ პრეტენზია დაკარგულ ქონებაზე და მშობლიურ ადგილებში დაბრუნების უფლებაზე. ეს კი, თავის მხრივ, გადაიქცევა საერთაშორისო გაერთიანების დამატებით ზემოქმედებად რუსეთზე, რომელმაც 2008 წლის საქართველო-აფხაზეთისა და საქართველო-ოსეთის კონფლიქტის შემდეგ დაიკავა ცალმხრივი პოზიცია, გადაიქცა სოხუმისა და ცხინვალის ინტერესების დამცველად. ერთი კვირის წინათ გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, მას მხარი დაუჭირა 50-ზე მეტმა სახელმწიფომ, 17 გამოვიდა წინააღმდეგი, 86-მა კი თავი შეიკავა. წარმატებას თბილისი, თუმცა იგი კომენტარებს არ იშურებდა, მთლიანად თავშეკავებულად შეხვდა, მას ესმის, რომ პრაქტიკული პოზიციებიდან სიტუაცია არ შეცვლილა და რეზოლუციის მიღება ეს მხოლოდ ერთი კოზირია მოსკოვთან დიპლომატიურ დაპირისპირებაში.

„ის რომ, აფხაზეთის მხარემ მიმართა გაეროს თხოვნით, გადასინჯოს რეზოლუცია, – ადვილად პროგნოზირებული ამბავი იყო“, – განაცხადა პოლიტოლოგმა პაატა ზაქარეიშვილმა. მისი სიტყვებით,




ანალოგიური განცხადებანი აფხაზეთის შესახებ ყოველთვის მიდიოდა გაეროში, როდესაც იქ ღებულობდნენ დოკუმენტებს საქართველოს ინიციატივით და ყოველთვის შედეგი ნულოვანი იყო. მით უმეტეს, მიღებულ რეზოლუციას არავინ არ გადასინჯავს. „აფხაზეთის ინტერესებს აქტიურად უჭერს მხარს რუსეთი. ეს არაფორმალურ ხასიათს ატარებს და რუსეთის წარმომადგენელთა მოქმედებანი გაეროში ემსახურება იმას, რომ რაც შეიძლება მეტმა ქვეყანამ გაიგოს ის პოზიცია, რომელიც უკავია აფხაზეთს ამა თუ იმ საკითხზე“, – თქვა ზაქარეიშვილმა. გაეროში აფხაზეთის ამჟამინდელ წერილში თითქმის არაფერია ახალი – მასში კიდევ ერთხელ არის აღნიშნული პოზიცია ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებასთან დაკავშირებით და მათი პრეტენზიები ქონებაზე და ა.შ. „1994 წლის სამშვიდობო შეთანხმებაში, რომელიც დაიდო თბილისსა და სოხუმს შორის მოსკოვში, აფხაზეთის მხარემ დააფიქსირა ასეთი პოზიცია: მზად ვართ დავეხმაროთ აფხაზეთში დაბრუნებაში მხოლოდ იმ პირებს, ვინც არ იბრძოდა, ხელში იარაღი არ ეკავა... 2008 წლის ომის შემდეგ და მის შემდგომ მოვლენებში ყველა შეთანხმება, რომლებიც მოხდა ამასთან დაკავშირებით თბილისსა და სოხუმს შორის, ანაქრონიზმი გახდა და კვლავ ყველაფერი სუფთა ფურცლიდან იწყება – საქართველოს მხარე მოითხოვს ლტოლვილთა დაბრუნებას, აფხაზეთისა – ყურადღების გამახვილებას იმათ მიღებაზე ვინც, არ იბრძოდა. მხარეები განვლილს უბრუნდებიან“, – მიაჩნია ზაქარეიშვილს. ამავე დროს, პოლიტოლოგის სიტყვებით, აფხაზეთის ხელმძღვანელობის მიერ დაკავებულ პოზიციაში შეიპარა ადამიანის უფლებათა ბანალური დარღვევა: თუ ვინმე დამნაშავეა, ითვლება დამნაშავედ, – ის უნდა გასამართლდეს კანონის მიხედვით, მაგრამ უარი არ თქვას დაბრუნების უფლებაზე. „ნებისმიერ შემთხვევაში სახეზეა პოლიტიკური დავა და „საქაღალდე“ დაპირისპირება, რაც საქმის რეალურ ვითარებაზე არაფრით არ აისახება“, – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

იმასთან დაკავშირებით კი, რომ ფაქტობრივად უახლოეს დროში არაფერი შეიცვლება, თანახმაა აფხაზეთიც. აქ და საერთოდ არ უარყოფენ იმას, რომ რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილი გაეროში მიზნად ისახავს, წარმოაჩინოს თავისი პოზიცია. მიმართვაში ნათქვამია, რომ აფხაზეთის მხარე გამოდის ლტოლვილთა დაბრუნების ახალი მექანიზმის ფორმირების და პროცედურების ფორმატების მხარდასაჭერად. „შეუძლებელია უკლებლივ ყველა ლტოლვილის დაბრუნება, ვინაიდან ბევრი მათგანი სამხედრო დამნაშავეა, ვინც მონაწილეობას ღებულობდა 1992-1993 წლების საქართველო-აფხაზეთის ომის დროს აფხაზი ხალხის გენოციდში“, – ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართვაში. სოხუმის აზრით, გაეროს გენერალური ასამბლეის თავად რეზოლუცია არაკორექტულია, ვინაიდან მასში ხაზგასმულია აფხაზეთის მიკუთვნება საქართველოსადმი, რაც ხელს არ უწყობს ლტოლვილთა საკითხების გადაწყვეტაში პროგრესს. წერილში აგრეთვე ნათქვამია, რომ ლტოლვილთა დიდი ნაწილი „არის საქართველოდან აფხაზეთში გადასახლებული, როდესაც სტალინის პოლიტიკის შედეგად აფხაზეთის დემოგრაფიული ბალანსი ძალადობით იქნა შეცვლილი“. აფხაზეთის მხარე დაბეჯითებით მოითხოვს ქართველი ლტოლვილების ვერსიფიკაციას ხალხის რეალური რაოდენობის დადგენის მიზნით. „საქართველოს ხელისუფლება უარს აცხადებს წინასწარ შეთანხმებაზე ყველა ლტოლვილის დაბრუნებისა და რეგისტრაციის პირობებთან დაკავშირებით. ეკონომიკური ემბარგო საქართველოს მხრიდან ასევე ხელს უშლის რეგიონში მისაღები სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნას“, – აღნიშნულია მიმართვაში. მის დასკვნით ნაწილში აღნიშნულია, რომ „ერთმხრივი გადაწყვეტილება აფხაზეთის მხარის მონაწილეობის გარეშე ეჭვის ქვეშ აყენებს რეზოლუციის მიღების მიზანშეწონილობას აფხაზეთის ტერიტორიაზე ხალხის დაბრუნების პრობლემასთან დაკავშირებით“.

**იური სიმონიანი**

НЕЗАВИСИМАЯ газета

# ომი მეცნიერების მიხედვით

**სამხრეთ ოსეთში ემზადებიან, აღნიშნონ საიუბილეო თარიღი – 20 სექტემბერს აქ უკვე მეოცედ აღნიშნავენ რესპუბლიკის დღეს. თავისი დამოუკიდებლობა მან ხომ გამოაცხადა დიდი ხნით ადრე მანამდე, რაც 2008 წლის 26 აგვისტოს იგი აღიარა რუსეთმა, შემდეგ კი ნიკარაგუამ, ვენესუელამ და ნაურუს რესპუბლიკამ. ზეიმის პროგრამა დაიწყება 17 სექტემბერს კინოფესტივალით „ოქროს ჯიქი“**

ორშაბათს ცხინვალში გაიმართება სამხედრო აღლუმი და სახალხო სვლა, აგრეთვე მოეწყობა სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა „შემოდგომის ნაზოძარი“ და პირველობის ფინალი ფეხბურთში ადგილობრივი პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის პრიზზე. ყველაფერს დაძაბვით უმზერს საქართველო, რომელიც თავისად მიიჩნევს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებს, თუმცა იგი მათ არ აკონტროლებს.

1990 წლის შემოდგომა ღირსსახსოვარია დოკუმენტების ომით თბილისსა და ცხინვალს შორის, რამაც შედეგად მიგვიყვანა სისხლისმღვრელი ომის მეორე ეტაპთან. საქართველო-ოსეთის შეიარაღებული დაპირისპირების წელთაღრიცხვა ხომ იწყება ჯერ კიდევ 1989 წლის 23 ნოემბრიდან, როდესაც ქართველი არაფორმალები მარშით დაიძრნენ ცხინვალისკენ მიტინგის გასამართავად სამხრეთ ოსეთის გადაწყვეტილების წინააღმდეგ – გახდეს ოლქის ნაცვლად რესპუბლიკა საქართველოს სსრ შემადგენლობაში. სამხრეთოსეთელი პოლიტიკოსების ეს გადაწყვეტილება თბილისმა არაკონსტიტუციურად მიიჩნია. წამოჭრილმა კონფლიქტმა შეიწირა დაახლოებით 2000 ქართველისა და ოსის სიცოცხლე. კონფლიქტი შეწყვიტა მშვიდობის შენარჩუნების შერეულმა ძალებმა (რუსეთის საქართველოს და ოსეთის ბატალიონებმა) მხოლოდ 1992 წელს. მშვიდობისმყოფელები კონფლიქტის ზონაში იმყოფებოდნენ 2008 წლის აგვისტომდე.

სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის სახელმწიფო მრჩეველი კოსტა ძუგაევი 20 წლის წინანდელ მოვლენებს მიიჩნევს „ისტორიულად გარდაუვალად“. მისი სიტყვებით, სამხრეთ ოსეთის მისწრაფება გამოეყოს საქართველოს, „იყო მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაჩქარებული დაშლის წინა პირობად. თბილისს ამასთან დაკავშირებით აქვს თავისი აზრი. თენგიზ სიგუამ, რომელიც 1990 წლების დასაწყისში მუშაობდა პრემიერ-მინისტრად, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროსაც და პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის დროსაც, განაცხადა, რომ „ავტონომიურ წარმონაქმნთა რუკა“ ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში „თამაშდებოდა მოსკოვის მიერ“. მისი სიტყვებით, სტრატეგიას იმუშავებდნენ არა მხოლოდ პოლიტიკოსები, არამედ მეცნიერებიც სსრ კავშირის დედაქალაქში: „საქმეში რთავდნენ საუკეთესო სამეცნიერო კადრებს. აქცენტი კეთდებოდა ჯერ მოკავშირე რესპუბლიკებში „ინტერფრონტების“ შექმნაზე სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა შემადგენლობით. საქართველოში ეს არ გამოუვიდათ, მაშინ გეზი აიღეს სეპარატიზმის გაღვივებაზე ავტონომიებში. ეს კი, სამწუხაროდ, გამოუვიდათ“.

სიტუაცია საქართველოში გართულდა პოლიტიკური ელიტის შეცვლით: კომუნისტების შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები. მათი მოქმედება ხშირად იყო აჩქარებული და ემოციური. „ცხელი თავები“ იყო სამხრეთ ოსეთშიც. 1993-2001 წლებში სამხრეთ ოსეთს ხელმძღვანელობდა ჯერ როგორც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, შემდეგ კი პრეზიდენტი ლუდვიგ ჩიბიროვი, რომელიც 1990 წელს იყო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ცხინვალში და მონაწილეობდა ყველა მოლაპარაკებაში. თავის წიგნში „დროის შესახებ. ხალხის შესახებ. ჩემს შესახებ“. ჩიბიროვი იხსენებს, რომ იმ წლის სექტემბერში „წარმოიქმნა ოლქის ლიკვიდაციის რეალური საფრთხე, ვინაიდან თბილისმა ძალადაკარგულად გამოაცხადა საკავშირო კანონი სსრ კავშირიდან გამოსვლის წესის შესახებ“. ამასთან დაკავშირებით, 1990 წლის 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭომ მიიღო დეკლარაცია ეროვნული სუვერენიტეტის შესახებ და გადაწყვიტა ოლქი გარდაქმნას სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად.



ამან თბილისის რისხვა გამოიწვია: საქართველოს უმაღლესმა საბჭომ გააუქმა ეს გადაწყვეტილება, მალე საქართველოს პარლამენტს სათავეში ჩაუდგა ზვიად გამსახურდია (მოგვიანებით მას პრეზიდენტად აირჩევენ). ამან ახალი შეშფოთება გამოიწვია სამხრეთ ოსეთში, ვინაიდან იქ ამ პოლიტიკოსს და მის გარემოცვას აიგივებდნენ 1989 წლის 23 ნოემბრის „ცხინვალის მარშთან“. 9 დეკემბერს კი თბილისთან შეუთანხმებლად სამხრეთ ოსეთში გაიმართა მისი უმაღლესი საბჭოს არჩევნები „გაზრდილი“ რესპუბლიკური სტატუსით.

საქართველო წინააღმდეგია, მაგრამ არჩევნები იმართება, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ირჩევენ ტორეზ კულუმბეგოვს. სიტუაცია იძაბება. 13 დეკემბერს საქართველო ცხინვალსა და სამხრეთ ოსეთის ჯავის რაიონში აწესებს საგანგებო მდგომარეობას. საბაბი გახდა სროლები ცხინვალში, სადაც დაიღუპნენ 2 ქართველი და ერთი ოსი. დაღუპულ ქართველს აღმოაჩნდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მცველის მოწმობა. 1991 წლის 6 იანვარს სამხრეთ ოსეთში შედის, ჩიბიროვის მონაცემებით, სულ ცოტა 6 ათასი ქართველი მილიციონერი და შინაგან საქმეთა სამინისტროს ფორმაში გადაცმული საქართველოს ხელისუფლების მომხრეები, მათ მხარს უჭერს ჯავშანტექნიკა.

სამხრეთ ოსეთში იქმნება მოლაშქრეთა რაზმები. იწყება კონფლიქტის მეორე ეტაპი – ყველაზე სისხლისმღვრელი და დაუნდობელი. სამხრეთ ოსეთში დარწმუნებული არიან, რომ იმ დროისთვის რესპუბლიკაში დასაცავად მყოფი სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს საშინაო ჯარები წამოვიდნენ, რათა გაეშვათ საქართველოს ძალები – საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელის მიხეილ გორბაჩოვისა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა იმდროინდელი მინისტრის ბორის პუგოს განკარგულებით. ლუდვიგ ჩიბიროვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა პალატის თავმჯდომარის რაფიკ ნიშანოვის პოზიციას უწოდებს „სამხრეთ ოსეთის ხალხთა ინტერესების აშკარა ღალატად“. მან განაცხადა, რომ „სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრა საქართველოს პრეროგატივაა“.

1991 წლის 26 იანვარს საქართველომ სამხრეთ ოსეთიდან გამოიყვანა ქვედანაყოფები. მაგრამ მოძრაობაში მოყვანილი ქანქარის შეჩერება უკვე შეუძლებელი აღმოჩნდა.

**მიხეილ ვიგნანსკი**

ВРЕМЯ новостей

## დედამიწის ზურგზე



**სარკოზი ცდილობს, გადაარჩინოს თავისი რეიტინგი მისი ცოლის სკანდალური ბიოგრაფიის გამოსვლის შემდეგ**

საფრანგეთში გამოვიდა წიგნი საფრანგეთის პირველი ლედის ცხოვრების შესახებ, რომელშიც იგი წარმოჩენილია როგორც „დონ ჟუანი ქვედატანში“ და „ანტი- ლედი ლი“. პრეზიდენტისა და მისი მეუღლის იმიჯის დარტყმის შესამსუბუქებლად ელისეის სასახლემ ერთდროულად გამოსცა ალტერნატიული ბიოგრაფია, რომელშიც ბრუსი თავად გვიამბობს პრეზიდენტის მეუღლის ცხოვრების შესახებ.

**თურქეთში ბოევიკებმა ააფეთქეს სამგზავრო ავტობუსი: დაიღუპა 8 კაცი, 3 დაიჭრა**




ტერორისტული აქტი მოხდა ხაკიარის პროვინციაში ერაყის საზღვართან. ასაფეთქებელი ნივთიერება წინასწარ იყო ჩადებული გზის საფარში და ააფეთქეს დისტანციური მოწყობილობის დახმარებით, არის აგრეთვე ვერსია, რომ ეს შეიძლება ყოფილიყო ნაღმი.

**ზაკაევს არ სჯერა, რომ მას დააკავებენ ჩეჩნების კონგრესზე, მაგრამ ის მაინც მიდის პოლონეთში**



რუსეთის ხელისუფლების მიერ ტერორისტულ მოქმედებაში ბრალდებულმა ახმედ ზაკაევმა განაცხადა, რომ მისთვის არაფერია ცნობილი მისი დაკავების შესახებ ორდერთან დაკავშირებით, რომელიც გაცემულია პოლონეთში. ქვეყნის ხელისუფლება გვპირდება ზაკაევის დაკავებას, როგორც კი იგი გადაკვეთს საზღვარს, ვინაიდან იგი საერთაშორისო ძებნაში იმყოფება.

**ბერეზოვსკიმ სთხოვა რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურორს, თქვას სად აღმოაჩინა მისი მილიონები**

„მე არასოდეს ვსაუბრობ ჩემი აქტივების შესახებ უცხოეთში, სწორედ იმიტომ, რომ ისინი სდევნიან ამ აქტივებს. მათ რა აქვთ დასამალი, დაასახელონ“, – განაცხადა ბერეზოვსკიმ. წინა დღით ჩაიკამ განაცხადა, რომ „ბერეზოვსკის ყველა საზღვარგარეთული აქტივი – ეს 300 მილიონ გირვანქაზე მეტია“, და პირობას იძლევა, რომ ამ აქტივებს დააბრუნებს.



## ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

[illegible]

## ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

| №<br>№ | ბუნებრივი გაზის | იურიდიული | ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი მობილ. ნომერი | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა | **მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი ( დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| #ССЫЛКА! | შ.პ.ს "ორუჯევი და ჯანმრთელობა" | გარდაბანის რ-ნი,სოფ.ყარათაკლა | 899 17 36 97 | საყოფაცხ. 440 000<br>არასაყოფაცხ. 1 070 000 | საყოფაცხოვრებო: 30.619<br>არასაყოფაცხოვრებო. 47,881 |

## ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

| № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელ. ნომერი, მობილ. ნომერი. ელ/ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ/მ) | **მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ს გარეშე თეთრი/კუბ/ მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| 1 | შპს „გასკო+“ | სენაკი წმ.ნინოს ქ. №1 | 899 302 143<br>8 213 7 89 14 | საყოფაცხ. 560 000<br>არასაყოფაცხ. 170 000 | საყოფაცხ. 30,619-34,43<br>არასაყოფაცხ. 58,329 |

## ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

| № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი მობილ. ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ.მ.) | მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიის მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| 1 | ს.ს “ჭიათურგაზი” | ქ. ჭიათურა საჩხერის გზატკეცილი №2ა | 8 279 5 23 05<br>877 784 835 | საყოფაცხ. 1 754 000<br>არასაყოფაც. 380000 | საყოფაცხოვრებო 30.568<br>არასაყოფაც. 47.933 |

ინფორმაცია

### შეაკეთებენ ალაზნის ნაპირსამაგრებს

**20 სექტემბრიდან** ახმეტის მუნიციპალიტეტში, მდინარე ალაზნის კალაპოტში ნაპირსამაგრი სამუშაოები დაიწყება. სამუშაოებს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობა და იაპონიის განვითარების სააგენტო დააფინანსებს.

პირველი ეტაპის სამუშაოების საერთო ღირებულება 220 000 ლარია, აქედან 170 000 ლარს იაპონიის განვითარების სააგენტო გაიღებს.

— ამ სამუშაოების განხორციელება ახმეტის მოსახლეობას ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემას გადაუჭრის — აცხადებს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა მაისურაძე.

ნაპირსამაგრი სამუშაოები ორ თვეში დასრულდება.

### ევროკავშირი ხორბლის მარაგს მიადგა



**ევროკავშირი** საკუთარი მარაგებიდან მსოფლიო ბაზარზე 3 მლნ. ტონა მრცვლეულის გატანას გეგმავს.

სოფლის მეურნეობის საკითხებში ევროკომისრის დაციან ჩიოლოსის განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულია რათა შეჩერებული იქნას მარცვლეული კულტურების ფასების შემდგომი ზრდა.

ბოლო კვირეების განმავლობაში მარცვლეულის ბაზარზე განსაკუთრებით ხორბლის ფასი ინტენსიურად იზრდება.

ექსპერტები აღნიშნულის მიზეზად ძირითადად რუსეთის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ასახელებენ, რომლის მიხედვითაც გვალვისა და ხანძრების გამო მოსკოვმა ხორბლის ექსპორტი შეწყვიტა.

ჯი-ეიჩ-ენი

სს „ოკამის“ გენერალური დირექტორი იწვევს სს „ოკამის“ აქციონერებს მორიგ კრებაზე, რომელიც გაიმართება 2010 წლის 18 ოქტომბერს, 15 საათზე მისამართზე: კასპის რ-ნი, სოფ. ოკამი.

დღის წესრიგი:

1. სამეთვალყურეო საბჭოში ცვლილებები;
2. სხვადასხვა.

გენერალური დირექტორი:

გ. ცხენოსანიძე.

სსიპ № 55 საჯარო სკოლის შენობაში, რომელიც მდებარეობს ჭავჭავაძის 38-ში, ქირავდება სპორტული და სააქტო დარბაზები სპორტული სექციებისა და ქორეოგრაფიული წრეების ფუნქციონირებისათვის სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ 2 წლის ვადით. ქირის ოდენობა შეადგენს დაკავებული საათის მიხედვით 10 ლარს. განცხადებები მიიღება 2010 წლის 17 სექტემბრიდან 17 ოქტომბრამდე. წარსადგენი დოკუმენტაციისა და საკონკურსო პირობების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სკოლაში 29 24 72.

ფეხბურთი

# „ირმის ნახტომი“



**ერთი მოგება, ოთხი ფრე – ასეთია თემურ ქეცბაიას გაწვრთნილი საქართველოს ეროვნული ნაკრების მონაგარი. ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ ასეთმა დაუმარცხებელმა სერიამ „ჯვაროსნები“ საოცრად აღაზევა ფიფას ყოველთვიურ რეიტინგში – აგვისტოს 110-ე პოზიციიდან ჩვენებურებმა სექტემბერში 89-ე ადგილზე გადაინაცვლეს. შეგახსენებთ, რომ XXI-ე საუკუნეში ჩვენს თანამემამულეთა საუკეთესო შედეგი 2007 წელს უკავშირდება – მაშინ 77-ენი ვიყავით.**

რაც შეეხება ელიტასა და „ევრო – 2012“-ის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების მეტოქეებს, მათი აწმყო ასეთია:

ესპანეთი – 1824, ჰოლანდია – 1663, გერმანია – 1490, ბრაზილია – 1480, არგენტინა – 1351, ინგლისი – 1191, ურუგვაი – 1182, პორტუგალია – 1049, ეგვიპტე – 1034, ჩილე – 1004, ხორვატეთი – 998, საბერძნეთი – 973 ქულა... 36. ისრაელი – 721;... 68. ლატვია – 494; ... 150. მალტა – 90 ქულა.

* * *

როგორც ცნობილია, თბილისობის დღეებში ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი „პელეს თასის“ პირველ გათამაშებას უმასპინძლებს (ყოველ შემთხვევაში, განზრახვა ასეთიაძ საქართველოს, ბრაზილიის, არგენტინისა და ურუგვაის ახალგაზრდულ ნაკრებთან მონაწილეობით.

მომავალი ტურნირის ინიციატორმა ნიკო პატარქალიშვილმა და საორგანიზაციო შტაბის წევრმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა გელა კეტაშვილმა მორიგ პრესკონფერენციაზე გვაუწყეს, რომ დამდეგი ასპარეზობის დევიზი იქნება „ფეხბურთი ნარკომანიის წინააღმდეგ“, მის დაფინანსებაში კი ისეთი სოლიდური სპონსორები შეიტანენ წვლილს, როგორიცაა კომპანია „ყავა პელეს“ მოსკოვისა და თბილისის წარმომადგენლობა და საქველმოქმედო ფონდი „ივანანა“.

პერსპექტივის თვალსაზრისით საგულისხმო ჩანაფიქრად გვესახება ქართულ – არგენტინული საფეხბურთო აკადემიის გახსნა, რაც ტურნირის დასრულების შემდეგ განხორციელდება. მას ფილიალები ექნება თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ფოთსა და თელავში, ხოლო მწვრთნელებს თვით სესარ ლუის მენოტი შეარჩევს.

არანაკლებ მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ „პელეს თასის“ მონაწილეთა სურვილი, საკუთარი წვლილი შეიტანონ მახათას მთაზე ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობაში.



და ბოლოს, დაგვეთანხმებით, სახელმწიფოს თანადგომის გარეშე საფეხბურთო დღესასწაულს ხორცი ვერ შეესხმება. სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ, როგორც იქნა, ყინული დაიძრა და საპრეზენტაციო წერილმა პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან სათანადო რეზოლუციით სპორტის სამინისტროში გადაინაცვლა. რაც შეეხება დედაქალაქის მერიას, იქიდან ჯერჯერობით ჩამიჩუმი არ ისმის.

* * *

**ეროვნული ჩემპიონატის გადატანილი (Iძ ტური.**

„ოლიმპი“ – „ვიტ ჯორჯია“ 2:1 (ქავთარაძე, ბერიაშვილი; ლიპარტიაძ, „დინამო“ – „ცხინვალი“ 1:0 (ხმალაძეძ, „ბაია“ – „სიონი“ 2:2 (მეგრელაძე – 2; გოცირიძე, ისიანიძ, „ზესტაფონი“ – „ტორპედო“ 2:1 (დაუშვილი – 2; ჩიკვილაძეძ, „კოლხეთი“ – „სამტრედია“ 1:0 (სხვიტარიაძ.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ოლიმპი“, „დინამო“ – 10-10, „ზესტაფონი“ – 9, „ბაია“, „კოლხეთი“ – 8-8, „ვიტ ჯორჯია“ – 7, „სიონი“ – 6, „სამტრედია“, „ცხინვალი“ – 4-4, „ტორპედო“ – 2 ქულა.

* * *

**ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური რაუნდი. I ტური.**

**„ე“ ჯგუფი.** „ბაიერნი“ – „რომა“ 2:0 (მიულერი, კლოზეძ, „კლუჟი“ – „ბაზელი“ 2:1 (რადა, ტრაორე; შტოკერიძ.

**შემდეგი ტური:** „რომა“ – „კლუჟი“, „ბაზელი“ – „ბაიერნი“.

**„ვ“ ჯგუფი.** „ჟილინა“ – „ჩელსი“ 1:4 (ორავეცი; ესიენი, ანელკა – 2, სტარიჯიძ, „მარსელი“ – „სპარტაკი“ 0:1 (ასპილიკუეტა – საკუთარ კარშიძ.

**შემდეგი ტური:** „ჩელსი“ – „მარსელი“, „სპარტაკი“ – „ჟილინა“.

**„ზ“ ჯგუფი.** „მილანი“ – „ოსერი“ 2:0 (იბრაჰიმოვიჩი – 2ძ, „რეალი“ – „აიაქსი“ 2:0 (ანიტა – საკუთარ კარში, იგუაინიძ.

**შემდეგი ტური.** „ოსერი“ – „რეალი“, „აიაქსი“ – „მილანი“.

**„თ“ ჯგუფი.** „არსენალი“ – „ბრაგა“ 6:0 (ფაბრეგასი – 2, ველა – 2, არშავინი, შამაკიძ, „შახტარი“ – „პარტიზანი“ 1:0. (სრნაძ.

**შემდეგი ტური:** „პარტიზანი“ – „არსენალი“, „ბრაგა“ – „შახტარი“.

**გიორგი შოთაძე**

ჭადრაკი

# ნონას თასი — 2010

**თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში საჭადრაკო კლუბმა ნტნ-მა საჭადრაკო ფესტივალს უმასპინძლა. „ნონა გაფრინდაშვილის თასი – 2010“-ის გათამაშებაში საქართველოს ოლიმპიური გუნდის წევრი დიდოსტატებიც მონაწილეობდნენ. ასპარეზობის თითოეულ წევრს პარტიისთვის ექლეოდა 3 წუთი ყოველ სვლაზე 2 წამის დამატებით. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით 9 ტურად წარიმართა. გაუწყებთ გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:**

**ქალები:** 1. სოფიკო ხუხაშვილი – 6, 2. ქეთი წაწალაშვილი – 6, 3. ნინო გურიელი – 5,5 ქულა.

**ვაჟები:** 1. ლევან ფანცულაია; 2. მიხეილ მჭედლიშვილი, 3. დავით არუთინიანი (სამივეს – 7-7 ქულაძ.

პირველ ადგილებზე გასულთ 300 ლარი გადაეცათ, მეორე – მესამეადგილოსნები, შესაბამისად, 200 და 150 ლარით დაჯილდოვდნენ, 16-წლიანთა შორის საუკეთესო ნანი უნაფქოშვილმა კი 100 ლარი დაიმსახურა.



სუმო

# მარცხიანი დღე

**სუმოისტთა შემოდგომის ბაშოზე ტოკიოში მე-4 დღე ქართველებისთვის უილბლო აღმოჩნდა. ელიტის ყველაზე ახალგაზრდა სპორტსმენის ტოჩინოშინის (ლევან გორგაძეძ მეტოქე გახლდათ ოძეკი (ჩემპიონიძ კოტოოშუ.** ბულგარელმა გოლიათმა



იორიკირით (მიწოლითძ აჯობა ჩვენებურს. გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელიძ უმაღლესი დივიზიონის დებიუტანტ კიოკუნანკაისთან დამარცხდა. კოკაიმ (ლევან ცაგურიაძ შედეგიანი გდებით სძლია შიმოტორის. ასე რომ, ოთხი ტურის შემდეგ ქართველებს 3-3 მოგება აქვთ. უდანაკარგოდ დიდი ჩემპიონი ჰაკუჰო (იოკოძუნაძ, კოტოოშუ (ოძეკიძ და იოშიკაძე (მაეგაშირა 11ძ ლიდერობენ.

ინტერნეტიდან

## ტოტალიზატორები დაიკეტება



**ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელები აგრძელებენ პოზიციების განმტკიცებისთვის ბრძოლას 2018 წლისთვის მსოფლიო ჩემპიონატის მისაღებად, მასზე კი პრეტენზიას აცხადებს რუსეთიც. ისინი აპირებენ ბრძოლის გაგრძელებას ტოტალიზატორებში ყალთაბანდობასთან ბრძოლის ზომების გასაძლიერებლად, კერძოდ, ტოტალიზატორებში სპორტსმენთა მონაწილეობასთან.**

როგორც Sky Sports იტყობინება, ნისლიანი ალბიონის წარმომადგენლები ამუშავებენ კანონპროექტს, რომლის მიხედვით აიკრძალება ყოველგვარი აზარტული მოქმედება სპორტთან დაკავშირებით. ეს, შესაძლოა, შეეხოს როგორც პროფესიონალ, ისე ნახევარ პროფესიონალ ფეხბურთელებს – განუცხადეს პრესას ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ხელმძღვანელებმა, მათ მხარს უჭერს ინგლისის პროფესიონალი მოთამაშეების ფედერაციაც.

## თურმე რუსებიც იპარავენ...




**ალბათ გახსოვთ, რა ამბავი ატყდა, როდესაც ვანკუვერში, ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე რუსეთი ლიდერებში ვერ მოხვდა და მხოლოდ უჩვეულო მეთერთმეტე ადგილით „დაკმაყოფილდა“. მაშინ რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის მკაცრი მოთხოვნით გადადგა რუსული სპორტის რამდენიმე თავკაცი. მათ შორის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტიც.**

ახლა კი, როგორც ცნობილი გახდა, რუსეთის საგამოძიებო ორგანოებმა ორი სისხლის სამართლის საქმე აღძრეს ვანკუვერის ზამთრის ოლიმპიადისთვის მოსამზადებლად გამოყოფილი თანხებით თაღლითობის ფაქტებზე.

რუსეთის პროკურატურის საგამომძიებლო კომიტეტის მთავარი საგამოძიებო სამმართველომ შეისწავლა კონტროლის პალატის მიერ მოწყობილი შემოწმების მასალები ფედერალური ბიუჯეტისა და დაფინანსების არასაბიუჯეტო წყაროების XII ოლიმპიური თამაშებისა და X პარაოლიმპიური თამაშების მოსამზადებლად გამოყოფილი თანხების არაეფექტური გამოყენების ფაქტებზე.

როგორც პროკურატურის საგამომძიებო კომიტეტის წარმომადგენელმა ვლადიმერ მარკინმა განაცხადა, საქმეები აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 159 მუხლის მე-4 თავის მიხედვით (თაღლითობაძ.

წინასწარი მონაცემებით, ერთი სისხლის სამართლის საქმეზე ქვეყნისთვის მიყენებული ზარალი შეადგენს 8 მილიონ რუბლს, ხოლო მეორე საქმეზე – 223 მილიონ რუბლს!

სად წავიდა ეს ფული? მოიპარეს?!

ამიტომაც ნუ გაგიკვირდებათ, რომ რუსეთმა ვერ მოიპოვა ჩვეული გამარჯვება!

## მხედრებშიც გამორჩეული

**გერმანელი მხედარი ქალი კატია ვერნინგი ცნობილია, როგორც გამორჩეული ჟოკეი თავის ქვეყანაში. ამჟამად მას მოპოვებული აქვს 156 გამარჯვება ცხენთა რბოლაში – დოღში.** ამას წინათ გამოცემამ Die Welt მას ყველაზე მიმზიდველი მხედარი უწოდა. სპორტული წარმატებების გარდა, დორტმუნდელი ლამაზმანი გამორჩეულია თავისი პოპულარობით შოუ-ბიზნესშიც. ამას წინათ ის გადაიღეს ეროტიკულ ფოტოსესიაშიც. „მე ჩემს სხეულში ყველაფერი მომწონს და კმაყოფილიც ვარ, – უთხრა კატიამ ჟურნალისტებს, – დიდი ხანია, ბევრს ვვარჯიშობ, და ახლა არაფერი დამრჩენია იმ სხეულიდან, ადრე რომ ვხედავდი. მინდა, რომ ნამდვილი ქალივით გამოვიყურებოდე“.

უნდა ითქვას, რომ კატიას შარშან ტვინი შეერყა, რის გამოც დროებით დოღიც კი მიატოვა. ცხენები მას თავის გატაცებად მიაჩნია, თუმცა, არც მამაკაცებზე ამბობს უარს.



⊙ დასაგმობი უნდა დავგმოთ!

# მაცდუნებლის დანაშაული,



## ანუ არის თუ არა ლატარია ხალხის მოტყუება?

**საქართველოს ლატარიის კომპანიის ცენტრალურ ოფისში და ბილეთების სარეალიზაციო, სოკოებივით მომრავლებულ ჯიხურებზე ასეთი წარწერებია: „მომგებიანი ბილეთი“, „იყიდეთ აქ!“, „აქ მოიგეს 31000 ლარი!“ და ა.შ. ადამიანის ცდუნებისა და ფსიქიკაზე ზეწოლის უკეთეს მეთოდს ვერ მოიგონებ. ფულის შოვნის სურვილს და მის რეალურად განხორციელებას დიდი „გამომგონებლობითი“ ნიჭიც სჭირდება.**

ჩვენ ჩავატარეთ გამოკითხვები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში და გამოკითხულთა 99,88 პროცენტმა აღნიშნა, რომ ლატარიის თამაში ხალხის მოტყუებაა და იგი დიდ ნერვიულობასთან არის დაკავშირებული. დიახ, სამედიცინო თვალსაზრისით ეს თამაშები იწვევენ დიდ სტრესებს, ნევროზებსა და რეაქტიულ ფსიქოზებსაც კი. მოგებული ადამიანიც კი, ახლობლებთან ერთად, შოკურ მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს.

ცხადია, მოგების სურვილი ყველა ადამიანს აქვს, მაგრამ ჩვენ ყურადღება უნდა გავამახვილოთ უმრავლესობაზე, რომელიც წაგებულია, ლატარიის მესვეურები და ერთეული ადამიანები კი გამდიდრებული და გახარებულნი არიან. ადამიანთა ცდუნებას ბოლო არ უჩანს. ეშმაკმა რომ ადამიანი აცდუნა, აქედან დაედო სათავე ყოველგვარ ბოროტებას. ძალიან არ მსურს, რომ გამართლდეს სომერსეტ მოემის სიტყვები: ადამიანები თავისი ბუნებით არიან არა მარტო ძალიან ცუდები, არამედ ძალიან გათახსირებულებიცო!..

არც ის მსურს, დიდი მწერლის ასეთ უკიდურეს თვალსაზრისს ინტერპრეტაცია გავუკეთო, ეს მკითხველისთვის მიმინდვია, მაგრამ ყველა საზოგადოებაში რომ „სამოთხის“ და „ჯოჯოხეთის“ ჭიდილია, ეს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში ჩანს. ყველა ვხედავთ, რომ პრობლემები არ გვაკლია, ადამიანთა ფსიქიკა დიდი წნეხის ქვეშ იმყოფება. ყველაფერი ეს სერიოზულ დაავადებებს იწვევს. ახლა ლატარიებიც დაგვემატა. ის კი არ არის შესანატრი, რომ ვიღაცა გამდიდრდა, ან სახელმწიფო ბიუჯეტში დიდი თანხები შევიდა, არამედ დასაფიქრებელია, თუ რა შედეგს მოიტანს საზოგადოებისთვის ყოველი აზარტული ტყუილი, სიყალბე და, რაც მთავარია, მომავალი თაობის უსინდისო იდეოლოგიით აღზრდა. ნაცვლად იმისა, რომ ადამიანებმა შრომა ისწავლონ, მათ აზარტული თამაშებით გამდიდრებას ვასწავლით. სლოგანი — „ითამაშე და მოიგეს“ ნაცვლად „იშრომე და გამდიდრდი“ უნდა იყოს ჩვენი გზამკვლევი.

ნაცვლად იმისა, რომ ხალხს სამუშაო მიეცეს, ყველამ კონკრეტული საქმე აკეთოს და კარგი ანაზღაურება მიიღოს, ჩვენ უკანასკნელი ფულით, გაქნილ საქმოსნებს ვამდიდრებთ, მერე გულზე ხელს ვიტაცებთ სტენოკარდიული შეტევის გამო. ბევრი თურმე სასწრაფოსაც ურეკავს... ასეა თუ ისე, ლატარია, როგორც ცდუნების და მოტყუების მანქანა, მიუღებელია ჩვენთვის. მაგრამ უფრო დასაფიქრებელი ის არის, როცა მის მავნე შედეგებს ვერ ვაცნობიერებთ.

აბა, თქვენ იცით, ლატარიის მესვეურებო, ატყუეთ ხალხი, ააჭრელეთ პიარსლოგანებით თქვენი ოფისი, ჯიხურები, მთელი ქვეყანა ჩამოიმხეთ თავზე, ყვლიფეთ განურჩევლად, ბოჭეთ ფულები და დაანაგვიანეთ ახალგაზრდობის ფსიქიკა! დასაკარგი არაფერი გაქვთ, მოსაგები კი, ამ მოტყუებული და ცდუნებული ხალხის ხარჯზე კიდევ ბევრი გექნებათ, მაგრამ... ფრთხილად იყავით, არამი ლუკმა მალე თქვენც გულზე დაგადგებათ!..

**მამია მდინარაძე,**
*ექიმი-ფსიქოლოგი*

⊙ კორუფცია

# ჯერ კარტბლანშს აძლევენ, მერე იჭერენ

**ჩვენ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში ევროკავშირის ქვეყნებში პირველ ადგილზე ვართ — ყოველდღიურად ჩაგვჩიჩინებენ „ნაციონალების“ ლიდერები. აკავებენ და ამხელენ ხალხს, რომლებიც თანამდებობებზე მათი ხელდასმით არიან დანიშნული. ყოველ ჩინოსანს ხომ გარკვეული დამსახურება აქვს „ვარდოსნების“ წინაშე, მმართველი პარტიის ნდობით სარგებლობდნენ და თავის სფეროში ხელშეუხებლობის გარანტიებიც ჰქონდათ.**

როდესაც ქვეყანაში ასობით ჰექტარი მიწა მოუხვნელი რჩება, ინვესტორები არ ჩანან, ხოლო ადგილობრივებს სახსრები არ გააჩნიათ, გამგეობები დასამუშავებელი მიწების იჯარით გაცემაში ქრთამს ითხოვენ. ამგვარი ქმედებისათვის სამართალდამცავებმა დააკავეს გორის რაიონის გამგეობის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის განყოფილების გამგე მარიამ ორჯონიკიძე და მისი თანამზრახველი, სოფელ კარალეთის რწმუნებული ზვიად ბერიანიძე. ამათ ერთ-ერთ ფერმეროზის მსურველს (ვინაობა არ სახელდებაძ 2 ათასი ლარი გამოართვეს.

დანაშაული 9 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

აჭარის შავი ზღვისპირეთი დღითი დღე მშვენიერდება. ადგილობრივი ხელისუფლება ცენტრალურის მხარდაჭერით, რეგიონს მთლიანად დასასვენებელ ზონად გადაქცევას უპირებს. გალამაზება ხშირად მაცხოვრებლების ხარჯზე ხდება — უნგრევენ სახლებს, ართმევენ მიწის ნაკვეთებს და ა.შ. ყოველივე ამას კი „ვარდებით“ მოსულები მათ მიერვე მიღებული — სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლის კანონით ხსნიან. ასეთ ვითარებაში ყველას შეწუხების გარეშე რაიმე გასართობი შენობის საკუთარი სახსრებით დადგმის ინიციატივა მისასალმებელი და წასახალისებელიც კია... მაგრამ ქობულეთის გამწვანების სამსახურის უფროსმა, თამაზ პაპუნაიშვილმა, ზღვისპირა პარკში ატრაქციონის გახსნისათვის მსურველს ათასი აშშ დოლარი მოსთხოვა. მიიღო კიდეც. რისთვისაც 9 წლამდე ციხე ელის.

ერთი პერიოდი ხელისუფლება თავად უკეთებდა რეკლამირებას უცხოეთიდან შემოტანილ ტრაქტორებს. პრეზიდენტს ხან საჭესთან ვხედავდით, ხან — „კანისტრებით“ ხელში. თუმცა ამ ტრაქტორებმა დიდი ვერაფერი შვება მიანიჭა მიწაზე მომუშავე გლეხს. ტრაქტორებზე ხმამაღალი ლაპარაკი მიჩუმდა. დედოფლისწყაროს სოფელ ოზაანის გამგებელმა გია ბენაშვილმა ჩათვალა, რომ გამოყოფილი ტრაქტორი არა სოფლის, არამედ მისი საკუთრება იყო და გაყიდა. იგი დაკავებულია.

ხშირად გვესმის, რომ დღევანდელი პოლიცია აღარ არის რამდენიმე წლის წინანდელი. ღიპიანი და მექრთამე „გაიშნიკები“ წარსულს ჩაბარდნენ. თუმცა ავიწყდებათ, რომ ახალი, ხშირად კარგად მივიწყებული ძველია.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, სამართალდამცავებმა დააკავეს შსს საპატრულო პოლიციის კახეთის სამმართველოს ტრასის უფროსი გუგული მახოშვილი. მას ბრალად ედება მის ქვემდებარე გზატკეცილზე მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირისაგან ქრთამის აღება (ინფორმატორთათვის უცნობია დანაშაულის სახეობა და ჩამდენის ვინაობაძ. ის, რომ მახოშვილს დანაშაული ჩადენილი აქვს, იქიდანაც იკვეთება, რომ მომხდარზე კახეთის საპატრულო პოლიციის უფროსი ალეკო დეკანოიძე აცხადებს — „ჩვენი თანამშრომელი იყო, სხვა კომენტარს ვერ გავაკეთებო“.

**ზაზა ბილიხოძე**

**გია გაბრიჭიძე, პაატა წერეთელი, პაატა ვარდოსანიძე, ირაკლი ასათიანი, კახა ჩალაბაშვილი სამძიმარს უცხადებენ ელდარ ვაშაყმაძეს მამის**
**უშანგი ვაშაყმაძის**
**გარდაცვალების გამო.**

**მშობლები თინა შიოშვილი, ალეკო ჩხარტიშვილი, მეუღლე ნონა ვარშალომიძე, შვილები ქეთევან, ნატალია და ეკა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**
**სოსო ჩხარტიშვილი**
**პანაშვიდი 17 IX. დაკრძალვა 18 IX, 15 სთ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. 2.**

**შუქია აფრიდონიძე, ასმათ პაპიძე, სალომე ნიკოლეიშვილი, პაატა ცხადაია თანაუგრძნობენ თინა შიოშვილსა და ალეკო ჩხარტიშვილს შვილის**
**სოსო ჩხარტიშვილის**
**გარდაცვალების გამო.**

**შვილები თამარ, გრიგოლ შენგელიები, შვილიშვილები ნინო, ზვიად წოწკოლაურები, სიძე ნოდარ წოწკოლაური იუწყებიან**
**ჯენეტი**
**ლოლაძე-შენგელიას**
**გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18 IX, 17 სთ. დაკრძალვა 19 IX, 15 სთ. მისამართი: თბილისი, თამარაშვილის ქ. 15. I სადარბაზო, VII სართული.**

გახსენება

# ნათელში იყოს მათი სულები!..



**— ღმერთი აღარ არი?! — წამოიძახებს ხოლმე რაიმე საშინელი ამბით შეძრწუნებული ქართველი...**

**აი, ამ შემთხვევაშიც შეიძლება იგივე წამოცდეს კაცს... თავად განსაჯეთ: სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ქალი ზიტა გულბანი და მისი ორი ანგელოზი დისშვილი ნატა და მარიკო ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ აბაშის რაიონის სოფელ მარანში და მთელი სოფლისა და ახლობლების გული თან წაიღეს...**

**40 დღე გასულა ამ უბედურებიდან... და კვლავაც ღმერთის იმედად ვიყოთ, რომ ნათელში ამყოფოს ზიტას, ნატასა და მარიკოს ლამაზი სულები...**

**მარინე კანდელაკი**

ხსოვნა

# გივი მაჩაბელი



**ქართულმა სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის „ ელექტრომომარაგებისა და ელექტრომოწყობილობის“ მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორო გივი გიორგის ძე მაჩაბელი.**

**ქვეყნის ინტელიგენციას გამოაკლდა შეუბღალავი სახელის, სამაგალითო ადამიანობისა და ზნეობის პიროვნება, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მეცნიერების სამსახურსა და ახალგაზრდა ენერგეტიკოსთა საინჟინრო კადრების აღზრდის საქმეს მიუძღვნა.**

**გივი მაჩაბელი დაიბადა 1941 წელს ქ. თბილისში. 1963 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი და დატოვებული იქნა „სამრეწველო საწარმოთა ელექტრომოწყობილობის“ კათედრაზე სამეცნიერო საქმიანობის გასაგრძელებლად. 1971 წელს იგი მივლინებულ იქნა მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც 1975 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია მეცნიერების კანდიდატის მოსაპოვებლად და დაუბრუნდა მშობლიურ ინსტიტუტს.**

**1997 წლიდან განაგებდა „სამრეწველო საწარმოთა ელექტრომოწყობილობის“ კათედრას. ამ საპატიო თანამდებობაზე მან, თავისი ღირსეული მასწავლებელი - ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი ოთარ კერვალიშვილი შეცვალა. 2000 წელს ბატონ გივის პროფესორის წოდება მიენიჭა.**

**ფართო და მრავალმხრივი იყო გივი მაჩაბლის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის დიაპაზონი, რომელიც ელექტროამძრავების სისტემების ურთულესი პრობლემების კვლევას ეხებოდა. მისი აქტიური მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით ჩატარდა რუსთავის სინთეტიკური ბოჭკოს ქარხნის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ნავთობსაძიებელი ჭაბურღილების, ფოთის ნავსადგურის პორტალური ამწეების სხვადასხვა მექანიზმებისა და ქვეყნის სხვა ობიექტების ელექტროამძრავების სისტემების შექმნისა და მოდერნიზაციის სამუშაოები.**

**იგი 50-ზე მეტი ნაშრომის ავტორია. მათ შორისაა 3 სახელმძღვანელო და მთელი რიგი მეთოდური მითითებები.**

**ბატონ გივის უდიდესი ღვაწლი მიუძღვის „სამრეწველო საწარმოთა და ქალაქების ელექტრომომარაგების“ და „ელექტროამძრავი და სამრეწველო დანადგართა ავტომატიზაციის“ სპეციალობების საინჟინრო კადრების მომზადებასა და ჩამოყალიბებაში.**

**რაოდენ დასანანია, რომ ბატონი გივი ვერ ესწრება ენერგეტიკული პროფილის სპეციალისტების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო ცენტრის „შნაიდერ ელექტრიკ - თელასის“ გახსნას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იმ მიმართულების ბაზაზე, სადაც მან ათეული წლები იღვაწა.**

**წავიდა ჩვენგან უაღრესად კეთილშობილი, ქვეყნისა და ხალხისათვის თავდადებული ღირსეული მამულიშვილი, რომელმაც მთელი შემოქმედებითი ნიჭი და უნარი უშურველად გაიღო ახალგაზრდა კადრების წინსვლის, მეცნიერების განვითარებისა და ქვეყნის აღმშენებლობისათვის.**

**ნათელი დაუმკვიდროს უფალმა ბატონი გივის სულს ზეციურ ქვეყანაში.**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,**
**ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი**

**ლუიზა და გუჩა დათუნაიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის**
**გივი მაჩაბლის**
**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.**

## სულიერება



# ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის — „უწვავი მაყვლის“ დღესასწაული

**17 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი წმიდა სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის „უწვავი მაყვლის“ ხსენებას.**

მარიამ ღვთისმშობლის წინასახე მოსე წინასწარმეტყველმა იხილა მაყვალში, რომელიც ენთო და არ იწვოდა.

ღვთისმშობელ ქალწულს ხშირად უწოდებენ უწვავ მაყვალს. მას ცეცხლოვანი ნათლით განათებულს გამოსახავენ.

... მაყვალი ანთია და არ იწვის. ქალწული შობს და ქალწულადვე რჩება. ხატი რვაქიმიანი ვარსკვლავის სახითაა გამოსახული, რომელიც ორი წვერწამახვილებული ოთხკუთხედისგან შედგება. მათგან ერთი წითელი ფერისაა, რომელიც მოგვაგონებს იმ ცეცხლს, მოსეს მიერ ხილული მაყვალი რომ მოიცვა და, რომელშიც ის ალით გარშემორტყმული დაუწველი დარჩა...

... „უწვავი მაყვალის“ განსაკუთრებული ხელნაწერი კანონი არსებობს. კანონის დასაწყისში არსებობს წარწერა: „ეს საგალობელი სინას მთაზე იგალობება, როცა ვინმე ისურვებს და როცა ჭექა-ქუხილი საშიში ხდება“.

**გიული ლიპარტია**

## დაიჯესტი

# როცა ოცდახუთზე ერთი მოდის

**ფსიქოლოგთა აზრით, თითოეული ჩვენგანი თავისი მოქცევით, აზრებით, გნებავთ, გარეგნობით, მატერიალური მდგომარეობით, სოციალური სტატუსით და ა.შ. სხვა ადამიანებში როგორც სარკეში ისე აირეკლება, თუმცა ეს სარკე, ფაქტობრივად, ობიექტური არასდროს არ არის. ამის მიზეზი, შესაძლოა ის არის, რომ ერთი კაცი მეორეში პიროვნების მხოლოდ რაღაც ნაწილს ხედავს, ხოლო თუ ადამიანებს შორის ემოციური კავშირიც არსებობს, მაშინ სარკე „მრუდდება“ — იგი სხვას ან ზედმეტად ცუდად, ანდა ზედმეტად კარგად წარმოაჩენს.**



ყოველივე ამაზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ბოლო დროს იმატა როგორც შინაბერების, ასევე ბერბიჭების რიცხვმა, თუმცა მარტოობა უფრო მეტად ქალების პრობლემაა. ოჯახის ფსიქოლოგებმა ბოლო დროს ევროპაში ერთობ საგანგაშო ტენდენცია შენიშნეს: ქალები სულ უფრო გვიან თხოვდებიან, ზოგიერთნი კი სულაც არ ფიქრობენ დაოჯახებას. ამის მიზეზი, მათი ვარაუდით, იმ ზედმეტი ტვირთის, როგორიცაა საოჯახო საქმე, ქმარ-შვილის მოვლა და სხვათა წამოკიდებისგან თავის არიდების სურვილითაა გამოწვეული. გარდა ამისა, არსებობს ფსიქოლოგების მიერ „ალისას სინდრომად“ წოდებული მოვლენის კიდევ ერთი მეტად ფაფუკად მისადგომი საკითხი, როცა მამაკაცები, რომლებიც კონკრეტული ქალისთვის ინტერესს წარმოადგენენ, მას ან ვერ ამჩნევენ, ანდა საგულდაგულოდ ნიღბავენ თავიანთ სიმპათიას. არადა, ამ ქალებსაც არ სურთ მარტო ყოფნა და საამისოდ ძალისხმევასაც არ იშურებენ. ამის მკაფიო დადასტურებაა ჩენდუნელი ჩინელი სტუდენტის ჯან მენციანის მაგალითი, რომელიც სიჩუანის პროვინციის ელექტრონიკისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს. 8 მარტის წინა დღეს მან კედელზე განცხადება გამოაკრა, რომ თანატოლი მეგობარი ვაჟის პოვნა სურს. წარმოიდგინეთ, რომ დათქმულ დროს საერთო საცხოვრებლის წინ თავი მოიყარა... რამდენიმე ათასმა ახალგაზრდა ყმაწვილმა! სხვათა შორის, ამ უნივერსიტეტში ერთ ქალიშვილზე 25 ყმაწვილი კაცი მოდის, საერთოდაც, აღმოსავლეთში მამაკაცი უფრო მეტია, ვიდრე ქალი.

**მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ**

## დღის კალენდარი — 17 სექტემბერი



| | |
|---|---|
| ამოდის 05.42 | ამოდის 18.00 |
| ჩადის 18.06 | ჩადის 04.29 |

ხსენება ღირსისა სვიმეონისა, დავით გარეჯის ლავრის წინამძღვრისა, წინასწარმეტყველისა და სასწაულმოქმედისა (1773წ; მღვდელმოწამისა ბაბილასი, დიდისა ანტიოქიის ეპისკოპოსისა, და მისთანა სამთა ყრმათა: ურბანისა, პრილიდიანესი, ეპოლონისი და დედისა მათისა ქრისტოდულასი (251წ; წინასწარმეტყველისა მოსესი, ღმრთისმხილველისა (1531 წ. ქრისტეს შობამდეწ; მოწამისა ერმიონიასი, 70-თაგან მოციქულ ფილიპე დიაკონის ასულისა (დაახლ. 117წ; მოწამისა ბაბილა ნიკომიდიელისა და მისთანა 84-თა ყრმათა (IVწ; მოწამეთა: თეოდორესი, მიანესი, იულიანესი და კიონისა (305-311წ; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა იოასაფისა, ბელგოროდელი ეპისკოპოსისა (1911წ; იოაკიმესი, ალექსანდრიელი პატრიარქისა; დღესასწაული ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისა „მაყვალი უწვავი“ (1680წ.

### დაიბადნენ:

**1826 — გეორგ ფრიდრიხ რიმანი,** დიდი გერმანელი მათემატიკოსი. გარდაიცვალა 1866 წელს.
**1857 — კონსტანტინ ციოლკოვსკი,** რუსი მეცნიერი და გამომგონებელი აეროდინამიკისა და რაკეტების დარგში. გარდაიცვალა 1935 წელს.
**1893 — ვიქტორ ნოზაძე,** მეცნიერი, პოლიტიკური მოღვაწე. გარდაიცვალა 1975 წელს.
**1899 — ვერა ბარდაველიძე,** ეთნოგრაფი, პროფესორი. გარდაიცვალა 1970 წელს.
**1906 — სესილია თაყაიშვილი,** გამოჩენილი მსახიობი. გარდაიცვალა 1987 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1701 — იაკობ II,** დიდი ბრიტანეთის მეფე.
**1838 — ანტუან ჟუსიე,** ფრანგი ბოტანიკოსი.
**1721 — ტობიას ჯორჯ სმოლეტი,** ინგლისელი მწერალი.
**1918 — ლალიონი (არსენ მამულაიშვილი),** მწერალი და პედაგოგი.

### მოვლენები:

**1787** — მიიღეს აშშ-ს კონსტიტუცია.
**1922** — ბერლინში მოეწყო პირველი ჩვენება ხმოვანი ფილმისა.
**1939** — გერმანიამ დაიპყრო პოლონეთი.
**1957** — სოფი ლორენი და კარლო პონტი დაქორწინდნენ მექსიკაში.
**1983** — ვანესა ვილიამსი პირველი შავკანიანი ქალი გახდა, რომელმაც „მის ამერიკის“ ტიტული მოიპოვა.
**1991** — გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 46-ე სესია, რომელმაც გაეროს ახალ წევრებად მიიღო ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, ჩრდილოეთი და სამხრეთი კორეა და მარშალის კუნძულები.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
**აშშ** — ამერიკელი მოქალაქის დღე.
**ანგოლა** — გმირების დღე.
**სტუდენტთა საერთაშორისო დღე.**
**მშვიდობის საერთაშორისო დღე.**

**მედიანიუსი**

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8402 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3623 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8352 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.0012 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.0459 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2923 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.3322 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2230 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.7075 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +16 — +22 |
| ქუთაისი. | +18 — +25 |
| ბათუმი. | +16 — +21 |
| ზუგდიდი. | +16 — +28 |
| თელავი. | +14 — +24 |

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

— თქვენ საკუთარი ლექსები არავისთვის წაგიკითხავთ?
— არა.
— აბა რატომ გაქვთ თვალები ჩალურჯებული?

* * *

— მიხო, ეს რა ლამაზი ტყუპები შეგძენია! თანაც სამივე როგორ ჰგავს ერთმანეთს! ასეთი ფილიგრანული მსგავსება როგორ გამოგივიდა?



— ტრაფარეტი მაქვს კარგი, — უხალისოდ უპასუხა დადარდიანებულმა მიხომ.

* * *

ვცხოვრობ სრულ სიღატაკეში... მისამართი ზუსტია.

* * *

დაბადების დღეები ძალიან კარგი და სასარგებლო რამეა. როგორც სტატისტიკა მოწმობს, რაც უფრო მეტ დაბადების დღეს მოესწრება ადამიანი, მით უფრო დიდხანს ცოცხლობს იგი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.